საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 40 (313) ● პარასკევი, 6 მარტი, 1992 წელი ● ფასი 60 კაპიკი.

წუხელ შევიტყვეთ

კომენდატურის ცნობა

1992 წლის 2 მარტს სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისში საგანგებო წესები პირველ აპრილამდე გაგრძელდეს.

ამ ფაქტს განმარტავს თბილისის სამხედრო კომენდანტის მოადგილე მურთაზ ზაზუნია:

— როგორც ცნობილია, საგანგებო რეჟიმის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში სულ მცირე თხუთმეტი დღის მანძილზე იქნება სრული წესრიგი. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ, რომ თბილისში სრული სტაბილიზაცია იყოს. იმის მაგივრად, რომ თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობით მოეკიდოს კანონს, პირიქით ხდება. ჯერჯერობით კიდევ არის საბოტაჟის, ქურდობის შემთხვევები, ტერორისტული აქტები.

ექს-პრეზიდენტის მომხრეები ისევ მართავენ მიტინგებს. 2 მარტს უნივერსიტეტთან მოეწყო მიტინგი, რომელზეც გაისმოდა მთავრობისადმი შეურაცხმყოფელი სიტყვები. მომიტინგეებმა ალყაში მოაქციეს გვარდიელი, მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხყოფა, ცდილობდნენ ავტომატის წართმევას, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

საღამოს საათებში კვლავ აღინიშნება ბანდიტური ქმედება. ამიტომ ქალაქის კომენდანტის გელა ლანჩავას განკარგულებით გამოიყო ჯგუფები და თბილისის ყველა რაიონში მოეწყო რეიდი. საგანგებო წესების დარღვევისათვის დაკავებულია 80 და დაჯარიმებულია ამდენივე მოქალაქე.

გულიკო მარკოზაშვილი.

●

ქუთაისი:

ზამთრის - პრობლემებს არ ეთქმის...

უკვე მეორე თვეა ქუთაისი ენერგომომხმარების მკაცრი გრაფიკით მუშაობს. უფრო გასაგები რომ ვთქვათ, რესპუბლიკის საერთო ენერგოსისტემიდან გამოთიშული ქალაქი მხოლოდ რიონისა და გუმათის კასკადების მიერ გამომუშავებული ენერგიის იმედზეა დარჩენილი. არ მუშაობენ საწარმოები, არ თბება ბინები, შეფერხებებია წყლის მიწოდებაში, კავშირგაბმულობისა და სხვა სამსახურებში.

— თუ წინათ ზამთრობით ქუთაისს სულ მცირე 150 მეგავატ ენერგიას აწვდიდნენ, დღეს ეს ციფრი 50-52 შეადგენს. სამწუხაროდ, გაზაფხულზე მთებში თოვლის ინტენსიური დნობის დაწყებამდე სხვა გამოსავალი არ არის — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქენერგოს ქუთაისის ელექტროქსელების მთავარი ინჟინრის მოადგილემ გურამ ხერიკაშვილმა. — ასეთი დეფიციტის პირობებში ჩვენი უპირველესი მიზანია ელექტროენერგია არ მოაკლდეს საავადმყოფოებს, პურის საცხობებს, წყალსადენს, მაღლივ საცხოვრებელ შენობებს და თავიდან ავიცილოთ ავარიული გამორთვები. იანვარში, მაგალითად, ისეთი შემთხვევაც კი გვქონდა, როცა ქალაქი ფაქტობრივად უწყლოდ აღმოჩნდა... გაზაფხულის წყალუხვობა ვერ უშველის ჩვენს სისტემაში მომრავლებულ პრობლემებს, ამ ეტაპზე, ვიდრე საქართველოს ენერგეტიკის გლობალური პრობლემები გადაწყდებოდეს, უნდა დაიწყოს ქალაქის ენერგომომხმარების სისტემის რეგულირების გენერალური გეგმის შემუშავება, რა თქმა უნდა, მხოლოდ სპეციალისტების მონაწილეობით. უკვე დღეიდანვე უნდა დაიწყოს საავადმყოფოების, კავშირგაბმულობის, წყალმომარაგების სისტემისა და სხვა უპირველესი სამეურნეო ობიექტების ავტონომიურ კვებაზე გადაყვანა.

მაკა კილაძე.

●

აფეთქება სენაკში

გამოძიებისთვის ჯერ დაუდგენელმა პირებმა ხელყუმბარა აფეთქეს ქალაქის პირველი საშუალო სკოლის შესასვლელთან. საბედნიეროდ, ამას მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია. დაზიანდა ცენტრალური კარი და ჩაიმსხვრა მინები.

გუშინწინ პირველ საათზე სენაკის ცენტრში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა დაგმეს ძალადობა და, კერძოდ, ეს პროვოკაციული აქტი.

წუხელ შევიტყვეთ

გავრილ პოპოვი: „მე ვოცნებობ იმაზე, რომ თავისუფალი საქართველოს და თავისუფალი რუსეთის ურთიერთობა პირველი თვეებიდანვე წარიმართოს ორივე მხარისათვის სასარგებლოდ და მომგებიანად“

გუშინწინ დილით სპეციალური თვითმფრინავით თბილისში ჩამოვიდა ქ. მოსკოვის მერიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვის მერის გავრილ პოპოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მოსკოვის მთავრობის პრემიერი იური ლუჟკოვი, საქმეთა მმართველი ვასილი შახნოვსკი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ალექსეი პეშკოვი, მოსკოვის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ევგენი სევასტიანოვი და მოსკოვის ვიცე-მერის მრჩეველი სერგეი ცოი.

საპატიო სტუმრებს თბილისის აეროვაგზალში დახვდნენ ქ. თბილისის მერი ბატონი **ოთარ ლითანიშვილი**, საქართველოს დროებითი მთავრობის ხელმძღვანელები, რესპუბლიკისა და ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

აეროპორტიდან თბილისისკენ გზად მიმავალი დელეგაცია ეწვია თბილისის რძის კომბინატს, სადაც მათ დაათვალიერეს კომბინატის საწარმოო უბნები, შეხვდნენ და ესაუბრნენ კომბინატის ხელმძღვანელებსა და მშრომელებს. მოსკოველებს განზრახული აქვთ თბილისის რძის კომბინატს მოაწოდონ საგულისხმო რაოდენობის ფხვნილი, რომლის ნაწილიც ისევ მოსკოველებს დაუბრუნდებათ, ოღონდ ყველის სახით.

დელეგაციის წევრებმა გულდასმით დაათვალიერეს რუსთაველის პროსპექტის დანგრეული ნაწილი, შეჩერდნენ თბილისის პირველი საშუალო სკოლის ჯავარქმნილ შენობასთან, რომლის აშენებაც მოსკოვის მერიას აქვს გადაწყვეტილი. როგორც იცით, ამ სკოლის მშენებლობის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მთლიანად თავის თავზე იღებს მოსკოვის მერია. ამ მშენებლობაზე დასაქმებული მუშა-ხელი მოსკოველთაგან იქნება უზრუნველყოფილი სურსათ-სანოვაგით.

შემდეგ მოსკოვის მერი ბატონი გავრილ პოპოვი, მოსკოვის მთავრობის პრემიერი იური ლუჟკოვი და დელეგაციის სხვა წევრები მიიღო რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა ბატონმა **თენგიზ სიგუამ**. გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: **თენგიზ კიტოვანი, ოთარ ქვილითაია**, საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრი ბატონი **ჯაბა იოსელიანი**, ქ. თბილისის მერი ბატონი **ოთარ ლითანიშვილი**, რესპუბლიკის მინისტრები, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

საუბრისას მხარეები შეეხნენ საქართველოს წინაშე მდგარ მტკივნეულ პრობლემებს, იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთაც მოსკოვის მერიის ხელმძღვანელობა გვთავაზობს დახმარებისა და თანადგომის მიზნით. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოსკოვის ხელისუფლება გამონახავს სათანადო რეზერვებს საქართველოს მძიმე ენერგეტიკული და სასურსათო კრიზისიდან გამოყვანისათვის. დადგინდა ხელშეკრულების ე. წ. დანართების ნუსხა, რომელიც მოიცავს როგორც მოსკოვიდან რესპუბლიკაში შემოსატანი პროდუქციის, ისე საქართველოდან მოსკოვში გასატანი საქონლის ნომენკლატურას. როგორც ბატონმა ოთარ ქვილითაიამ განმარტა ამ დანართებში მოქცეული პროდუქციის გაცვლა მოხდება პირდაპირი კავშირების მეშვეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვოტები და ლიცენზიები მასზე გავლენას არ მოახდენს.

— მე განსაკუთრებულად მიყვარს საქართველო, რადგან მასთან ბევრი რამ მაკავშირებს — აღნიშნა გავრილ პოპოვმა, — ამიტომაც ორივე მხარემ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ უფრო განვამტკიცოთ დღეს საფუძველჩაყრილი ურთიერთობა და ხელი შევუწყოთ ამ პროცესის განვითარებას.

ორივე მხარის ასეთ მისწრაფებას სრულად ასახავს ის ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის, მისი დედაქალაქისა და მოსკოვის მერიის ხელმძღვანელებმა, ამ ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ვთხოვეთ ბატონ გავრილ პოპოვს რამდენიმე სიტყვა ეთქვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

— მე უნდა ვთქვა, რომ თავისუფალ სახელმწიფოთა ცხოვრების პირველმა თვეებმა ყოფილი საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის ტერიტორიაზე თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ჩვენ ძალზე ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ იმის ნაცვლად რომ სწორედ ამ თვეებში გამოგვეყენებინა ყველა ძალა მომავალი ნორმალური განვითარებისათვის, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობათა საძირკველში ჩაიდო მტრობა, ზიზღი და ურთიერთ პრეტენზიები. სწორედ ამ თვეებში ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ როგორ სწრაფად გადაიზარდა იგი ტრაგედიაში.

მე ვოცნებობ იმაზე, რომ თავისუფალი საქართველოს და თავისუფალი რუსეთის ურთიერთობა პირველი თვეებიდანვე წარიმართოს ისე, რომ იგი ორივე მხარისათვის იყოს სასარგებლო და მომგებიანი. ღრმად მწამს, რომ ეს ასეც იქნება.

ჩემი გულთბილი სალამი თქვენი გაზეთის მკითხველებს, გისურვებთ წარმატებას!

გუშინწინ საღამოს მოსკოვის მერიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვის მერის ბატონ გავრილ პოპოვის ხელმძღვანელობით მოსკოვს დაბრუნდა.

გია ჭელიძე.

სურათზე: შეხვედრის დროს.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჰანს-იოჰენ ფოგელი: „მწამს საქართველოს მომავალი“

ბატონ ჰანს-იოჰენ ფოგელის სახელი კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. იგი — ბუნდესტაგის დეპუტატი, სოცინტერნის, სოციალ-დემოკრატიული პარტიების საერთაშორისო გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი — აქტიურად უჭერდა მხარს „ევროპის ინტეგრაციის“ იდეას და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევის წინადადებას.

სოცინტერნი დაახლოებით სამოცდაათ პარტიას აერთიანებს. იგი დიდი ყურადღებით სწავლობს ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებს. ამ მიზნით სოცინტერნის დელეგაცია, რომელსაც ბატონი ფოგელი მეთაურობს, მოსკოვის, მინსკის, კიევის, კიშინიოვის, ერევნის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა.

შეხვედრა მინისტრთა კაბინეტში

რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა თენგიზ სიგუამ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება. დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ, რომ სამი წლის განმავლობაში — 1918-1921 წლებში — საქართველოში ხელისუფლებას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ. სწორედ მათი ხელმძღვანელობით გახდა საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო. რუსეთისგან საქართველოს ანექსიის შემდეგ ისინი იატაკქვეშეთში გადავიდნენ. მაგრამ მათი მემკვიდრე გახდა აღორძინებული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ახლა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანასწორი უფლებებით მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

არჩევნები ყველაზე მთავარი მოვლენაა რესპუბლიკის ცხოვრებაში, და მისთვის მთელი ქვეყანა ემზადება, — თქვა ბატონმა თენგიზ სიგუამ. მან დაწვრილებით გააცნო დელეგაციას უკანასკნელი წლის მოვლენები. ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ტოტალიტარული რეჟიმი, რომელმაც გამოიწვია საქართველოს სრული იზოლაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური კრახი, დაამხეს დემოკრატიულმა ძალებმა. პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლებული არიან, გზა გაეხსნა დემოკრატიულ რეფორმებს.

საქართველოს სუვერენიტეტი 36 სახელმწიფომ ცნო. თუმცა, დიპლომატიური ურთიერთობა ჯერჯერობით მარტო ინდოეთთანაა დამყარებული, მაგრამ 14 სახელმწიფომ უკვე გამოთქვა სურვილი გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები რესპუბლიკაში.

საუბრის დროს შეეხნენ ისეთ პრობლემებსაც, რომელთა გადაჭრაში გერმანიას შეუძლია დაგვეხმაროს. ეს არის ზოგადი ეკონომიკური კონცეფციის, აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფო სტრუქტურების შემუშავება, საკანონმდებლო აქტების მომზადება, სამეცნიერო ცენტრების შექმნა, კადრების მომზადება და გადამზადება.

ბატონმა ჰანს-იოჰენ ფოგელმა აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს რესპუბლიკას. მაგრამ იმისთვის, რომ დავეხმაროთ საქართველოს, აღნიშნა სტუმარმა, საჭიროა სრული პოლიტიკური სტაბილიზაცია, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები, და მაშინ ღია იქნება მსოფლიო გაერთიანების კარი.

საუბარი საკონსულტაციო საბჭოში

მანგანუმი და ფეროშენადნობები, ელმავლები და სამხედრო თვითმფრინავები, მილები და ჩარხები, ჩაი, ღვინო და კონიაკი — აი იმ პროდუქციის არასრული ნუსხა, რომელიც შეუძლია მიაწოდოს საქართველომ ნებისმიერ ქვეყანას, ეკონომიკურ კავშირს რომ დაუდებს, — აცნობეს სტუმრებს საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. სტუმრებს უამბეს, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება დემოკრატიული არჩევნებისთვის.

შეხვედრის მონაწილეებმა სტუმრებს დაწვრილებით გააცნეს რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, რომლებსაც ბევრი დაბრკოლება ხვდება. რესპუბლიკა ეძებს გამოსავალს. მაგალითად, დაიდო შეთანხმება და ირანიდან მივიღებთ ორ მილიარდ კუბურ მეტრ გაზს. ამოქმედდება ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი.

— გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო უმოკლესი გზაა ახლო აღმოსავლეთისაკენ, — თქვა სამხედრო საბჭოს წევრმა ჯაბა იოსელიანმა. — ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ მრავალი ქვეყანა დაინტერესებულია რესპუბლიკასთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებით. ახლა მთავარია მივაღწიოთ ვითარების სრულ სტაბილიზაციას.

— და, მაშინ საქართველოში ჩამოვლენ უცხოელი ინვესტორები, — განაგრძო მისი აზრი ბატონმა ჰანს ფოგელმა. — გერმანელი ბიზნესმენები, მეწარმენი შექმნიან აქ ერთობლივ საწარმოებს, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე.

მინისტრთა კაბინეტში შეხვედრის დროს.
გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა კათოლიკოს-პატრიარქთან

დიდი ჰუმანიტარული დახმარებისთვის მადლიერების სიტყვებით დაიწყო გერმანელ სტუმრებთან საუბარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. იგი ხუთი წლის განმავლობაში იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტი, ხშირად სწვევია გერმანიას და ახლაც მეგობრული კავშირურთიერთობა აქვს გერმანიის ეკლესიასთან.

ქართული ეკლესია პოლიტიკური ძალა არ არის, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა, იგი გამაერთიანებელი ძალაა და ცდილობს სამწყსოს ძალისხმევა მოახმაროს ყველა პრობლემის დემოკრატიულ გადაჭრას.

უნივერსიტეტი — გერმანიის უნივერსიტეტების პარტნიორი

ალბათ, გაგვიჭირდება დავასახელოთ გერმანიის ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელთანაც კავშირ-ურთიერთობა არ ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ზაარბრიუკენისა და იენის უნივერსიტეტები კი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა სწავლების სტაჟირების, სამეცნიერო გამოკვლევათა გაძღოლის ერთიან პროგრამებსაც ადგენენ, — უთხრა სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა როინ მეტრეველმა.

სტუმრებმა წამოაყენეს წინადადება აქტიურად შეუწყონ ხელი უვალუტო გაცვლას, აგრეთვე უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ ჰუმანიტარული დახმარების მიღებას.

• • •

ხანგრძლივი და საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში.

იმავე დღეს გაუმართეს ჟურნალისტებს პრესკონფერენცია, რომელზეც გერმანელმა სტუმრებმა უპასუხეს ყველა საინტერესო კითხვას.

გალინა ჩიქოვანი.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფო ღონისძიებების გატარებას არა მარტო სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის, არამედ ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან!

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, ბატონებს თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს
საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ თენგიზ სიგუას
საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელიც ბოლო წლების მოვლენებმა მოიტანა, მოითხოვს სასწრაფო ღონისძიებების გატარებას არა მარტო სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის, არამედ ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან.

დღეს საჭიროდ და გადაუდებლად მიგვაჩნია:

ახალი პარლამენტის არჩევამდე რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ შექმნას სამოქალაქო ხსნის კომიტეტი, როგორც ხელისუფლების დროებითი უმაღლესი ორგანო.

კომიტეტის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოწყობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული სტრუქტურების მომზადება.

სამოქალაქო ხსნის კომიტეტში მოწვეულ იქნას ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს დემოკრატიული კავშირი.

4 მარტი, 1992 წ.

ნომერში:

- ის, რაც საბოლოოდ დასამარებული გვეგონა, მხოლოდ მტვერწაყრილი აღმოჩნდა. მე-2-3 გვ.
- ობლიგაციებს მიიღებენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისაგან. მე-3 გვ.
- პოლიტიკური ორგანიზაციების წესდებები. მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ამერიკის შეერთებული შტატების ატაშე თბილისში

თბილისში სტუმრად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ჯონ რეპეშტი და მისი თანაშემწე პოლკოვნიკი მაიკლ ოგრიდი. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ავთანდილ ცქიტიშვილს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს პოლკოვნიკ თამაზ ცხაკაიას.

სტუმრები ინტერესით გაეცნენ საქართველოს რესპუბლიკის მომავალი შეიარაღებული ძალების სტრუქტურას, დიდი შეფასება მისცეს სამინისტროს მიერ გაწეულ მოსამზადებელ მუშაობას. თავის მხრივ სამხედრო ატაშემ ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებზე, მოიწონა ასეთი დონის შეხვედრა. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლონ, გაცვალონ გამოცდილება სამხედრო დარგში საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. კერძოდ, მათ აღუთქვეს, რომ ყოველნაირად შეუწყობენ ხელს მომავალ ქართველ ოფიცერთა მომზადებას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სასწავლებლებში.

სტუმრები შეხვდნენ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროების ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

◉

ბავშვთა ფონდი — ბავშვებს

თბილისში ბოლო დროს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების 180-ზე მეტ ბავშვს საქართველოს ბავშვთა ფონდმა გადასცა 1000 მანეთი ერთდროული დახმარება თითოეულს. ფონდმა ყოველთვიური პენსია — 70 მანეთის ოდენობით — დაუნიშნა ობლად დარჩენილ ოცდახუთ ბავშვს სრულწლოვანების მიღწევამდე. გაჭირვებულ ოჯახებსა და ობოლ სტუდენტებს ბავშვთა ფონდმა გადასცა 100 000 მანეთის სურსათი და საჩუქრები.

ამ სახსრების ნაწილი საქართველოს ბავშვთა ფონდმა საკუთარი სამეურნეო საქმიანობის გზით გამოიმუშავა. დაახლოებით მილიონი მანეთის მოგებას ელის ფონდი „ვეფხისტყაოსნის“ 100 000-იანი ტირაჟისაგან. მთელი ეს სახსრები მოხმარდება ბავშვების და ხელმოკლე ოჯახების დახმარებას, საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობას.

საქართველოს ბავშვთა ფონდმა ქალაქის გარეუბანში, გლდანის რაიონში იჯარით აიღო მიწა სახათბურე მეურნეობის მოსაწყობად. აქ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიით მოიყვანენ ბოსტნეულს, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცემენ რესპუბლიკის საბავშვო სახლებს.

◉

„იმედი“ თურქეთში

„**იმედი**“ — თურქულ და ქართულ ენებზე ასეთი წარწერიანი აბრა გაჩნდა თურქეთის ქალაქ ხოფაში. აქ გაიხსნა თურქეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო, რომლის დამფუძნებლები არიან სახელმწიფო კონცერნი „საქკურორტი“ და ფირმა „ისტამბულ ანტილოპ კონფექსიონი“.

— „იმედი“ გადაამუშავებს ტყავს, მისგან და ტრიკოტაჟისგან ტანსაცმელს შეუკერავს ბავშვებს და მოზრდილებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ერთობლივი საწარმოს ვიცე-პრეზიდენტმა, კონცერნ „საქკურორტის“ პრეზიდენტის მოადგილემ თამაზ სანაძემ. გარდა ამისა, ერთობლივი საწარმო აპირებს დაამზადოს ხორცი, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები საქართველოს, თურქეთისა და მესამე ქვეყნების ბაზრებზე გასაყიდად. ჩვენ მიზნად დავისახეთ განვავითაროთ საექსპორტო-საიმპორტო პოტენციალი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. მოგების ნაწილი საქართველოს კურორტების განვითარებას მოხმარდება. სოფლის მეურნეობის პროდუქტები დაგვეხმარება გავაუმჯობესოთ კვების ხარისხი სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, განვამტკიცოთ საქართველოს ბაზარი.

ტელეტაიპის ლენტიდან

გასწორება („ამნისტიის შესახებ“)

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 29 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილება „ამნისტიის შესახებ“, რომლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები — „ნარკოტიკულ, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის (სსკ 252-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4, მე-6 ნაწილები)“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს: „გასაღების მიზნით ნარკოტიკულ საშუალებათა, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის (სსკ 252-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 ნაწილები)“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი, პროფესორი

ოთარ დანიელის ძე ქინქლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი განათლების მინისტრის, პროფესორ ო. დ. ქინქლაძის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შევიდნენ: ო. ხურგულაძე (თავმჯდომარე), დ. ბერძენიშვილი, თ. ბუაჩიძე, გ. კვარაცხელია, ო. ლითანიშვილი და ნ. ჩერქეზიშვილი.

ო. დ. ქინქლაძე დაკრძალება საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

დადგენილების ექო

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება თანდათან ძალაში შედის. აგრარული რეფორმა, მიწების პრივატიზაცია მალე ჩვენი ცხოვრების სინამდვილედ იქცევა. მთავრობის დადგენილების ლაკონიური სტრიქონები ცალკეულ კითხვებს ბადებს და ეს ბუნებრივია, რადგან ცალსახად ყველაფრის თქმა ძნელია. ამასთან გასათვალისწინებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და რეგიონის თავისებურება, ტრადიცია და დღევანდელობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა და მრავალწახნაგოვანი ეკონომიკა.

მიწის რეფორმის პროცესებში გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, სწორად რომ აღვიქვათ რეფორმისა და პრივატიზაციის არსი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შექმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

კონსულტაციას უძღვებიან: **ვახტანგ ბურკაძე** — აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **თამაზ კუნჭულია** — ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დღეიდან ვიწყებთ კონსულტაციას და ჯერჯერობით ვუპასუხებთ იმ ავტორებს, რომლებმაც უკვე მოგვმართეს. მაშ ასე, ძვირფასო მკითხველებო, ველით თქვენს წერილებს.

● **რას გულისხმობს დადგენილების პირველ პუნქტში ნათქვამი: „მიწა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე და მისი კუთვნილებაა"?**

— **საქართველოს** ტერიტორიაზე არსებული ყველა კატეგორიის მიწები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეადგენს ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს და მიწაზე საკუთრების ფორმების მიუხედავად მისი უზენაესი განმკარგავი არის რესპუბლიკა. მიწისადმი ასეთი მიდგომა ძირითადად განპირობებულია იმ თავისებურებებით, რომლებიც მას ახასიათებს როგორც წარმოების საშუალებას. ამის გამოა, რომ კერძო საკუთრების მქონე კლასიკურ ქვეყნებშიც კი არ არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება მისი აბსოლუტური გაგებით. ნათქვამიდან ისიც გამომდინარეობს, რომ მიწის გამოყენების ყველა ინტერესს შორის უპირატესობა ენიჭება რესპუბლიკის ინტერესებს.

ზემოთ აღნიშნული სრულიად არ ნიშნავს, რომ შეიძლება მიწის სხვა მესაკუთრეთა ინტერესების შებღალვა. პირიქით. ის, რომ მიწა ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს და რესპუბლიკა არის მისი უზენაესი განმკარგავი, ნიშნავს, რომ იგი ამავე დროს არის მიწის სხვა მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი.

● **რას ნიშნავს მიწაზე კერძო საკუთრების, მფლობელობისა და სარგებლობის შემოღება?**

— **დღემდე** მიწაზე არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება და ყველა მიწათმოსარგებლეს, მათ შორის მოსახლეობას, იგი გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით გამოსაყენებლად. დადგენილებით მიწის სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად შემოდის საკუთრების ახალი ფორმა — მიწის კერძო საკუთრება, რა თქმა უნდა, არსებობს მიწის საკუთრების სხვა ფორმებიც, მაგრამ მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა საკუთრების მხოლოდ ორი ფორმის შემოღება.

მიწის რეფორმის ამ ეტაპზე გათვალისწინებულია, რომ მოსახლეობას, სადაც ამის ბუნებრივ-საწარმოო შესაძლებლობა არის, შეევსოთ საკარმიდამო ნაკვეთები ახალი ნორმების მიხედვით და ეს მიწები უსასყიდლოდ გადაეცეთ კერძო საკუთრებად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საკარმიდამო ნაკვეთების ახალი ნორმები დიფერენცირებულია ბარის, ზეგნის და მთის რეგიონების მიხედვით. ადმინისტრაციული რაიონების შესაბამისად სოფლების მიკუთვნება ზონებზე ხდება საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

საკარმიდამო მიწის კერძო საკუთრება დაცული იქნება კანონით.

იმის გამო, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მიღწეული არ არის პოლიტიკური სტაბილიზაცია, ძნელად მიმდინარეობს გადასვლა საბაზრო ურთიერთობაზე, არ ჩამოყალიბებულა რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სააღგილმამულო ბანკი. მიწის კერძო საკუთრების შემოღების მიუხედავად ამ ეტაპზე ნებადართული არ არის კერძო საკუთრებად გადაცემული მიწების ყიდვა-გაყიდვა.

მოქალაქეებისათვის კერძო საკუთრებად მიწების გადაცემის შემდეგ დარჩენილი მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს.

სახელმწიფო მიწების ნაწილი მოქალაქეებს შეიძლება გადაეცეთ მუდმივ, მემკვიდრეობით მფლობელობაში, მაგალითად, გლეხური მეურნეობის მოსაწყობად თუ სხვა დანიშნულებით მფლობელობაში გადაცემულ მიწას მოქალაქე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენებს თავის შეხედულებით და განკარგავს წარმოებულ პროდუქციას. ვინაიდან მოქალაქისათვის მფლობელობაში გადაცემული მიწის მესაკუთრე არის სახელმწიფო, დაუშვებელია მისი ყიდვა-გაყიდვა.

მიწა კერძო საკუთრებად და მფლობელობაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. უცხოელ მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს მიწა გადაეცემა დროებითი სარგებლობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდია აყალიბებს პროფესიონალურ სამხედრო ნაწილებს

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდია აყალიბებს პროფესიულ სამხედრო ნაწილებს, რომლებშიც ხელშეკრულებით სამხედრო სამსახურში ვიწვევთ 2-დან 5-წლამდე ვადით ყველა პროფესიის მქონე თადარიგის ოფიცრებს 35 წლამდე, რიგითებს და სერჟანტებს კი 30 წლის ასაკამდე.

ხელფასები განსაზღვრული იქნება თანამდებობის, წოდებისა და სპეციალობის მიხედვით, ოფიცრებისთვის არანაკლებ 2000-2500 მანეთისა, დანარჩენი კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებისთვის — არანაკლებ 1200-1500 მანეთისა თვეში.

გარდა ამისა ყველა მათგანი მიიღებს სამხედრო მოსამსახურეებისთვის განსაზღვრულ კმაყოფას.

ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილები დაბანაკდებიან საქართველოს რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში. გაწვევის პირველი ეტაპი ნავარაუდევია ამა წლის 10 მარტიდან.

მსურველებს დაწვრილებითი ცნობებისთვის შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ გამგეობებს და სამხედრო განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო.

ვინ გაიწვევს წვევამდელებს სამხედრო ბეგარის მოსახდელად

რედაქციაში ბევრი შეკითხვა შემოდის საბჭოთა სამხედრო კომისარიატების გაუქმებასთან დაკავშირებით. მათ ავტორებს, რომელთაგან უმეტესობა წვევამდელთა მშობელია, აინტერესებთ, თუ რა ორგანოები შეიქმნა სამხედრო კომისარიატების ნაცვლად, როგორ მოხდება ახალგაზრდობის გაწვევა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში და ა. შ.

ამ საკითხების გამო საქინფორმის კორესპონდენტმა მიმართა რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საორგანიზაციო და ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს უფროსს თორნიკე ბაბავას.

— ბატონო თორნიკე, გთხოვთ მკითხველებს განუმარტოთ როგორი იქნება ახლად შექმნილი სამხედრო ორგანოები.

— საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 თებერვლის დადგენილებით, დამტკიცდა ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოები, მისი დებულება, საშტატო განრიგი და სტრუქტურა. 1992 წლის 1 მარტიდან არსებული საბჭოთა სამხედრო კომისარიატების სისტემა გაუქმებულია, ყველა იქ მომუშავე დათხოვილია სამუშაოდან.

— მკითხველებმა იციან, რომ ადრე რაიონებში შეიქმნა სამხედრო სექტორები. როგორი იქნება მათი ბედი?

— სამხედრო სექტორებში მუშაობდა ბევრი კარგი სპეციალისტი, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის დაკომპლექტებას. ისინი ყველანი დასაქმებული არიან ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებში — ფაქტობრივად მათ ბაზაზე სამხედრო განყოფილებები შეიქმნა.

— მკითხველებს აინტერესებთ ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოების ამოცანები და უფლებები.

— ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოები აწარმოებენ წვევამდელებისა და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვას, მათ სამხედრო სამსახურისათვის მომზადებასა და გაწვევას, საჯარისო რეზერვების მომზადებას და, საჭიროების შემთხვევაში, საერთო მობილიზაციის გამოცხადებისას სამხედრო სამსახურში გაწვევას, აგრეთვე სხვადასხვა სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებას.

ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოებს ევალებათ: შეიმუშაონ და წარუდგინონ წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებს მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად და საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ნაწილებში მათ გასაგზავნად, მოსახლეობაში სამხედრო-პატრიოტული აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად, საჭირო რეზერვების შესაქმნელად. მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნული 1992 წლის 18 თებერვლის დადგენილებით კონკრეტულად განსაზღვრულია ამ ორგანოების ამოცანები და მოვალეობანი. ეს დებულება დაგზავნილია ყველა ქალაქისა და რაიონის გამგებლობაში. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მას ადგილებზე გაეცნონ.

— სად იქნებიან ეს ორგანოები ტერიტორიულად?

— ტერიტორიულად ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოები დაბინავებული იქნებიან ყოფილი სამხედრო კომისარიატების შენობებში.

— ვინ დააფინანსებს რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებს?

— ადგილობრივი გამგეობის სამხედრო განყოფილებებს დააფინანსებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო. სამხედრო განყოფილებებში არიან იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ გერბიანი ბეჭედი, სამხედრო განყოფილებებს აქვთ საკუთარი ანგარიშიც ადგილობრივ ეროვნულ ბანკში.

— მკითხველებს აინტერესებთ, როდის მოხდება წვევამდელთა გაწვევა სამხედრო სამსახურში?

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში პროფესიული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ჯარგამოვლილი სამხედრო ვალდებულთა ინიციატივით და თხოვნით, მარტის პირველ ნახევარში საგანგებო ხელშეკრულებით გაწვეული იქნებიან რიგითი ჯარისკაცები სერჟანტები, ზემდეგები და თადარიგის ოფიცრები, რომლებიც 2-5 წლით ჩაირიცხებიან ეროვნული გვარდიის რიგებში. ყოველთვიური ხელფასი იქნება ოფიცრებისთვის 2000—2500 მანეთი, დანარჩენი კატეგორიისათვის — 1200-1500 მანეთი, თანამდებობისა და სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, მათ მიეცემათ ყოველგვარი კმაყოფა, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებისთვის არის განსაზღვრული. ვისაც სურს იმსახუროს ეროვნულ გვარდიაში ხელშეკრულებით, უნდა მიმართოს რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებს. ასაკი განსაზღვრულია ოფიცრებისთვის 35 წელი, დანარჩენებისთვის — 30 წელი. რაც შეეხება ახალწვეულთათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, მათი გაწვევა მოხდება, ალბათ, ამა წლის გაზაფხულზე, რასაც მათ ადგილობრივი სამხედრო განყოფილებები და საინფორმაციო ორგანოები აცნობებენ.

— როგორ მოხდება სამხედრო პენსიონერთა მომსახურება?

— მათ ადგილობრივი სამხედრო განყოფილებები მოემსახურებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— სამხედრო ვალდებულებს ამჟამად საბჭოური სამხედრო ბილეთები აქვთ. რა ბედი ეწევა მათ?

— ამჟამად იქმნება ქართული სამხედრო ბილეთის ნიმუში. მალე მოხდება მათი მასობრივი გამოცვლა.

— რის საფუძველზე მოხდება წვევამდელი ახალგაზრდობის გაწვევა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში?

— სიამაყის გრძნობით მინდა გითხრათ, რომ წვევამდელ ახალგაზრდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაიწვევენ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 94 მუხლის საფუძველზე. სადაც აღნიშნულია: „ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად".

არჩევნებიდან არჩევნებამდე

გვესაუბრებიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილე მიხეილ ბაჟუნაიშვილი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესჯგუფის ხელმძღვანელი **დავით ჯაფარიძე.**

— ჩვენი საზოგადოებრიობა დღეს დგას მეტად სერიოზული გამოცდის წინაშე, უნდა მოეწყოს საქართველოს ახალი პარლამენტის არჩევნები, რამაც ჩვენ ერს გზა უნდა გაუხსნას თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისაკენ, ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობისაკენ. ძველმა არჩევნებმა, საზოგადოებრივ აქტივობასთან ერთად, ბევრი ხარვეზიც დაგვანახა. რაში გამოიხატებოდა ეს ხარვეზები და როგორია მათ მიმართ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოკიდებულება?

— ამ ბოლო დროს პრესით და ტელევიზიით გავრცელდა მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციის და ცალკეულ პირთა განცხადებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ 1990 წლის ოქტომბრის საპარლამენტო და 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს.

სრული პასუხისმგებლობით გვინდა განვაცხადოთ, რომ ასეთი ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ზემოხსენებული არჩევნების შედეგები საკმაო დიდი სიზუსტით ასახავდა ამომრჩევლების ნებას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ არჩევნების დროს არ მომხდარა დარღვევები; დარღვევების გარეშე არ ტარდება არჩევნები მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, მაგრამ საქმე იმაშია თუ რა ხასიათისაა ისინი, შეუძლიათ თუ არა მათ გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე. ხმის მიცემის პროცესში დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ (გარდა რამდენიმე შემთხვევისა, რომლისაც ცალკეულ უბნებზე შედეგები გაუქმდა), კანონით დადგენილ ვადებში საარჩევნო კომისიაში ოფიციალური საჩივარი არ შემოსულა.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჰყავს თავისი წარმომადგენელი და არჩევნების საბოლოო ოქმებზე არის თითოეული მათგანის ხელმოწერა, მათ შორის იმ პარტიების წარმომადგენლებისაც, რომლებიც დღეს ეჭვს გამოთქვამენ არჩევნების შედეგების შესახებ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა ყოველთვის არ იყო უღრუბლო. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ხელისუფლება უხეშად ჩაერია კომისიის მუშაობაში. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 14 მაისს მიღებული დადგენილება და ცვლილებები პრეზიდენტის არჩევნების კანონში, რომლის თანახმადაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადეს და მისი გარკვეული ფუნქციები თვით უზენაესმა საბჭომ აიღო ხელში, გადაწყვეტილებები იმდენად ოდიოზური იყო, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა ვეტო დაედო კანონის ცვლილებაზე.

— როგორც ცნობილია, არჩევნების მოწყობა სავარაუდოდ შემოდგომისათვის არის გათვალისწინებული. საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის კი საჭიროა ვითარების სტაბილიზაცია, რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობაც და განწყობილებაც მიუკერძოებლად გამოხატოს თავისი ნება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ პერიოდში უნდა მოხდეს რეალური სტაბილიზაცია, რაც ყველა პირობას შექმნის ამ დიდი სახელმწიფოებრივი აქტის წარმატებით განსახორციელებლად. როგორ ფიქრობთ, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ უნდა მოეწყოს ეს არჩევნები და რა უნდა გავითვალისწინოთ?

— რა თქმა უნდა, სტაბილიზაციის გარეშე ნორმალური არჩევნების ჩატარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც შეეხება საარჩევნო დებულებას, დღემდე გაურკვეველია თუ რომელი სისტემით მოხდება ხმის მიცემა, პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს მიერ მოწონებული იყო ერთადერთი — ე. წ. გადასაცემი ხმის მეთოდი, რომელიც ჩვენი ამომრჩევლებისათვის ცნობილია ამასწინანდელი საკრებულოების არჩევნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ გამოითქვა ცალკეული შენიშვნები, ალტერნატიული პროექტი ჯერჯერობით არ არსებობს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს არჩევნების დროს მიღებული გამოცდილება. ვფიქრობთ, უნდა მოხდეს საარჩევნო ბიულეტენების ცენტრალიზებული დაბეჭდვა ჩვენი წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვები ყალბი ბიულეტენების თაობაზე, გარდა ამისა, არჩევნების ნორმალური ჩატარებისთვის აუცილებელია საუბნო კომისიები დაკომპლექტდეს კეთილსინდისიერი პირებით, ამიტომ კარგი იქნება ყველამ, ვინც დაინტერესებულია არჩევნების ობიექტურად ჩატარებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათ საქმიანობაში. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უბნებზე სხვადასხვა პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატთა მეთვალყურეთა ყოფნასა და ურთიერთ კონტროლს. ამასთან ისინი კარგად უნდა იცნობდნენ საარჩევნო კანონს, თავიანთ უფლება-მოვალეობებს, რათა არ დაუშვან დარღვევები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დარღვევა მაინც მოხდა, დროულად და სათანადოდ დააფიქსირონ ყოველი ასეთი შემთხვევა.

სათქმელი უნდა ითქვას

დანაშაულია მტრის ძებნა საკუთარ ერში — „ყასაბების ჩხუბი ძაღლების ხეირიაო" — უთქვამთ: სისხლი, რომელიც ერთმანეთის კორტნითა გვდის, მტრის ძარღვებში გადადის. ამ დროს ჰყვავის და იფურჩქნება ჩვენთვის მტრული ფენომენი ქართულ მიწაზეც და მის ფარგლებს გარეთაც...

●

კაცს რომ ბანდიტს უწოდებ, ყვავილების თაიგულით არ დაგიწყებს დევნას, რადგან იმ კაცის ცოლს ბანდიტის ცოლს შეარქმევენ, შვილს — ბანდიტის ნაშიერს, დედას — ბანდიტის დედას და ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესით მომრავლდებიან ბანდიტებიც, მოღალატეებიც და ათასი ჯურის გარეწარიც...

მირონ ხერგიანი

ჰარაკირი,

ანუ ფარსმანობა საქართველოში

მხოლოდ უდიერი გუთნისდედა თუ გაიმეტებს ნაჯაფარ ხარს წინა უღელში შესაბმელად.

— რქანიც ეწევიანო! — იტყვის არხეინად.

— მიდი, მიდიო! — ერეკება დამაშვრალს...

მიდის ლაბაც, გულდაგულ მიჰყვალავს ყამირს, ჯაფისაგან ძარღვები ასკდება, აპეურები ყელში უჭერს, პირის ოფლი გადასდის — ველარ ეწევიან რქანი!

— მიდი, ლაბავ! — ძალას ატანს პატრონი...

ნაცნობი სურათია, ჩვენი ამჟამინდელი ყოფისათვის ნიშანდობლივი... ყოფილი პრეზიდენტი გვყავს მხედველობაში...

მტერი არ უზამდა, რაც მას საქმე დავმართეთ. ნაცვლად იმისა, რომ გავფრთხილებოდით, როგორც ქვეყნისთვის თავდადებულად შერაცხულ კაცს, ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცით, საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება არ ვაცალეთ და ქაოსური ქვეყნის გაძღოლის უმძიმესი ტვირთი დავადგით ქედზე. თავად უღელზე შემოვუსკუპდით და — „გასწი, ლაბავ!" — დავძახეთ არხეინად.

გასწია და რა გასწია! — წინა ხაზზე ანუ პარლამენტში მთელი გუთნეული („მრგვალი მაგიდა") გაიყვანა!...

ამასთან დაკავშირებით მახსენდება: უზენაესი საბჭოს წინასაარჩევნო პერიოდში, თიანეთის რაიონის მშრომელებს ყოველდღიურად, ფოსტასთან ერთად მისდიოდათ შემდეგი შინაარსის ბარათი: „თუ გინდათ, რომ ხმა მისცეთ ზვიად გამსახურდიას, ხმა მიეცით ზვიად ბოკუჩავას!".. და იმდენად დიდი იყო ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი, სახელი ეროვნული ბრძოლის სიმბოლოდ შერაცხული კაცისა, რომ მთის რეგიონისათვის სრულიად უცხო კანდიდატმა ბევრად დაჩაგრა ადგილობრივი წარმოშობის ღირსეული ოპონენტები და არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა, სადღა არ ხდებოდა ასე: ვაჟა-ფშაველას „სათაგურის" წრუწუნების ასხმულასავით უამრავი ვინმე აეკონწიალა ერთი კაცის ავტორიტეტს...

პარლამენტს საკრებულოების არჩევნები მოჰყვა, სადაც კვლავ „მრგვალ მაგიდოსნებს" ერგოთ „ლომის წილი", აქაც ყველაფერი ისე შესაშურისი მარიფათიანობით იყო გათვლილ-გაანგარიშებული, ბევრიც რომ გეცადა, თუ „სხვა" იყავი, თუნდაც მათზე ღირსეულიც, ვერაფერს გახდებოდი: „იცით, როგორი შეგრძნება მქონდა?", — მეუბნება აქ კანდიდატად დასახელებული ერთი ჩემი „არამრგვალმაგიდელი" ნაცნობი, — ღია პარტიულ კრებაზე რომ დაუფლებია არაპარტიულ ადამიანს, ვითომ დემოკრატიისა და საჯაროობის მოსაჩვენებლად რომ ისწრებდნენ, რაც კიდევ ერთხელ აგრძნობინებდა, რა უუფლებო და უმწეო, არარაობა იყო..."

ვერც მუნიციპალურმა არჩევნებმა დააკმაყოფილა სრულად აღნიშნული ბლოკის მოთხოვნები და აქ უკვე მისმა ლიდერმა უკანასკნელი ღონე იხმარა: პარლამენტიდან დაფერთხა კომპარტიელები, მაგრამ თავისი ხალხით შევსება აღარ დასცალდა: მმართველობის ყველა სადავე კი ჩაუგდეს პრეზიდენტს ხელში, მაგრამ მართვის სირთულეები ვერავინ გაითვალისწინა. გაწევ-გამოწევაში სწორედ ამ სადავეებს დააფლეთინეს კაცი...

ზვიად გამსახურდია გვესახება ბრძოლებში გამოვლილ დროშად, რომელსაც სხვა გაფრთხილება სჭირდებოდა. ჩვენ კი ეს დროშა სასტიკ ქარიშხლებს დავუხვედრეთ და არ გავითვალისწინეთ მისი სუსტი მხარე — ცვეთადობა. დავივიწყეთ, რომ ის საშინელპრესგამოვლილი ჯან და ნერვებგაცვეთილი კაცი იყო და ახლა ამ კაცს ბოლომდე, სრულ ამორტიზაციამდე ვხარჯავდით, დადებითთან ერთად უარყოფითსაც ვამზეურებინებდით და ასე თვალ და ხელშუა გვეცლებოდა ჩვენი ნალოლიავები იდეალი...

ქართველი კაცის ხსოვნას ზვიად გამსახურდიას სახელი თავისუფლებისათვის ბრძოლის, ეროვნული დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ უნდა შემოენახა, სიმბოლოდ, რომელსაც თანამდებობრივი ტვირთი არ დაამძიმებდა. იგი მერაბ კოსტავასავით ბოლომდე გაუხარჯავ, პოტენციურ პიროვნებად უნდა დარჩენილიყო. ეს სჭირდებოდა ჩვენს რწმენას... ასეთი იყო იგი პირადად ჩემთვის პრეზიდენტობამდე, მაგრამ კაცი, რომელიც ბოლო დრომდე პრეზიდენტის სავარძელში იჯდა, უცხოა, უკვე სულ სხვაა.

თვალწინ წარმომიდგება ჭიუტი თხებივით რქებდაბჯენილი თვისტომნი: ვერ ავცდით სიკვდილზე უარესს, რის არიდებაც მხოლოდ ჩვენზე იყო დამოკიდებული — სამარცხვინო ძმათამკვლელობას... მაშინებდა ხელისუფლების ძლევის სიხარული თვისტომზე...

საბრალონი ვართ ასეთი ქვეყნის შვილებიცა და მისი პრეზიდენტიც...

სხვა არ შეგვიბრალებს, ზიზღით გვერდს აგვიქცევს, დასცინებს ჩვენს ბედოვლათობას და სიბეცესაც და გული მწყდება: როცა ახალ ცხოვრებას ვიწყებდით, შეგვეძლო აღმაშენებლის ეპოქიდან ამოვსულიყავით (ამის წანამძღვრები უდავოდ იყო 9 აპრილამდე და შემდგომ მცირე პერიოდში) — ჩვენ კი ავადსახსენებელი რეპრესიების წლებიდან, ორჯონიკიძისა და ბერიას ეპოქიდან გამოსვლა ვარჩიეთ...

რა მშვენიერი იყო აპრილის დღეები, რა მაღლები და ლამაზები ვიყავით, როცა ყველა ერთად ვიდექით. ტრაგედიამ ერთნაირად გამოაფხიზლა ერი და ბერი, წლობით ჩამკვდარ ატროფირებულ სხეულში ერთი მიმართულებით იწყო ქართულმა სისხლმა დენა. იმ დღეებში შესამჩნევად იკლო ლოთობამ, სისხლის სამართლის დანაშაულმა... როგორ გვიყვარდა, როგორ ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს!.. და იმის ნაცვლად, რომ ეს მდგომარეობა გაგვემყარებინა და გაგვეუმჯობესებინა, არსებულის დონეც ვერ შევინარჩუნეთ, პირიქით, მთელი სამთავრობო ძალისხმევა, ჩვენდა სავალალოდ, ერის სატანურ ნგრევა-გათიშვას მოხმარდა... იმ ელემენტარული მოთხოვნიდან, რომელსაც ოპოზიცია მთელი წლის განმავლობაში დაჟინებით უყენებდა მთავრობას, არც ერთი არ დაკმაყოფილებულა მინიმალურ დონეზეც კი. პირიქით, ამას მისი ყოვლად გაუმართლებელი დევნა-შევიწროება, აბუჩად აგდება და ძაგება მოჰყვებოდა ხოლმე. პრეზიდენტმა ასეთი რამეც კი თქვა: შეწყდეს დაპირისპირება და პოლიტპატიმრებს გავათავისუფლებო, რითაც ცხადყო, რომ ისინი არათუ პოლიტპატიმრები — მძევლებად აყვანილნი ყოფილან გაურკვეველი ვადით, ანუ — სიტუაციის მოწესრიგებამდე. ამგვარმა დამოკიდებულებამ, კიდევ უფრო ააგორა უკმაყოფილების ტალღა, რაც საბოლოოდ მოუთოკავ სტიქიაში გადაიზარდა. ბზარი, რომლის ამოვსება თავიდან სულ ადვილად შეიძლებოდა, ხელოვნურად იქცა თვალჩაუდგამ უფსკრულად.

ეროვნული მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, გამოიკვეთა ერთი უცნაური რამ: მას საოცრად აშინებდა როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური ძალის ყოველგვარი გამოვლინება, რაც უშუალოდ მის პირად განდიდებას არ ემსახურებოდა. ამით ისარგებლეს კულისებსამოფარებულმა უკეთურმა ადამიანებმა და ქვეყანაში ახალი ძალით იფეთქა რეპრესიების საფრთხემ. ბევრმა უკვე დაუფარავად წამოიცვა ჯალათის ხელთათმანები და ბოროტი სიხარულით აუფხავა პირი გილიოტინის ჩაქანგებულ რკინას. წარმოუდგენელი რაღაც მოხდა: ის, რაც საბოლოოდ დასამარებული გვეგონა, მხოლოდ მტვერწაყრილი, ანაბიოზის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მზადდებოდა „რეპრესიები კუბაში" — როგორც ეს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბუნკერში ტყვეობიდან თავდაღწეულმა, ბატონმა ნოდარ გიორგაძემ ბრძანა. მზადდებოდა ერის სასიცოცხლო და ინტელექტუალური პოტენციალის მორიგი (და, ალბათ, საბოლოო) ივარქმნა.

ზვიად გამსახურდია მსხვერპლია, მაგრამ ვიტად თავისებური. იგი უპირველესად თაყვანისმცემლებისაგან გამეტებული კაცია...

საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გაჩნდა ერთი შეხედვით უწყინარი, მაგრამ თავისი მიზნობრიობით მზაკვრული რუბრიკა — „მხარს ვუჭერთ პრეზიდენტს!" ხელმოწერები, რომელიც ამ სამსიტყვიანი ფრაზის ქვეშ თითქმის ყველა კოლექტივში გროვდებოდა, რედაქციასა და მთავრობაში იგზავნებოდა; თავის უკუგანფენილობაში მექანიკურად აღგენდნენ „შავ სიებს" მათი გვარებით, ვინც პრეზიდენტის მხარდასაჭერად ხელი არ მოაწერა და როგორც კი ამოქმედდებოდა ზემოთ მოხსენიებული საზარელი ფორმულა, დასასჯელი ხალხის საძებნელად დიდი გარჯა აღარ დასჭირდებოდათ. მეტად მარტივი წესით გამზადებული სიებით მარჯვედ ისარგებლებდნენ ჯალათები. ამგვარი ორგანიზებულობა, ალბათ, ადრინდელი რეპრესიების ავტორებსაც კი შეშურდებოდათ: რამდენადაც ამჟამინდელ „სამეულს" ქალები შეადგენდნენ, საქმეს საკუთარი „ფაქიზი" ხელწერაც დააჩნიეს. მოგეხსენებათ, ქალი უფრო თადარიგიანი და მოწესრიგებულია, ვიდრე — კაცი...

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული მთავრობა გზადაგზა მეთოდური თანმიმდევრობით ახშობდა ფიზიკურ ძალას, დღეს რომ ასე ჰაერივით სჭირდება ჩვენს ჩამოუყალიბებელ მეობას, გაშარავებულ ქვეყანას, დაცემულ ზნეობას, მოშლილ დისციპლინას. „მხედრიონის" დარბევის შემდეგ ეროვნული გვარდია, კოსტავას საზოგადოება და „იმედი" იქნა მიზანში ამოღებული და ბოლოს ერის „ოქროს ფონდის" — სტუდენტი-ახალგაზრდობის თავზეც ავბედითად შეიყარა შავი ღრუბლები, ეს მათს თავზე, ვინც კრიტიკულ მომენტში ეროვნულ მოძრაობას ჯანსაღი სისხლი გადაუსხა და გამოაცოცხლა!... ეს ინერცია ბუნებრივი გაგრძელებაა იმ სიბინძურის ნიაღვრისა, რომელიც ჯერ კიდევ „საბჭოთა რეჟიმის" დროს დაატეხეს თავს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მოწინააღმდეგე თუ დავით გარეჯის დამცველ ახალგაზრდებს და უკვე ველარ გამირჩევია, ტელევიზორიდან ცნობილი დიქტორის აღშფოთება და რისხვა თვითმფრინავის გატაცების მცდელობისათვის დასჯილ უბედურ ბიჭებს ატყდება თუ ახალგაზრდა რეჟისორს — დათო ჯანელიძეს ჭკვიანური და მართლაც მოქალაქეობრივი გულისტკივილით მიცემული ინტერვიუსთვის...

ახლა ხშირად გაიგონებთ — შეცდომები ვის არ მოსდისო! მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა ერთეულ მცდარობებს, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ წარმოსახონ, არამედ დანაშაულობათა მთელ სერიალს, რომელიც საშინელებათა კრიალოსნად შეიძლება აიკინძოს, რამეთუ სათავეში დაშვებულ შეცდომებს გზადაგზა სიმბოლური განზოგადება ენიჭება და აპოკალიფსურად დამანგრეველ ძალას იძენს. ეს მაშინ, როცა სისხლდაწრეტილ ქვეყანას არათუ შეცდომების, ექსპერიმენტების ატანის თავიც კი აღარა აქვს...

9 აპრილით შეკავშირებული ერის გათიშვა და რღვევა მაშინ დაიწყო, როცა ერთი კრებსითი ცნება „ერი" ორ ნაწილად გაიყო: „ჩვენ" („მრგვალი მაგიდა თავისი მომხრეებითურთ) და „ისინი" ანუ დანარჩენი ყველა. ეს უკანასკნელი რამდენიმე კატეგორიად დახარისხდა: აგრესიულები, ანუ აშკარად მტრები, მოღალატეები და კრემლის აგენტები, რომელთაც სამთავრობო მიტინგებზე ხელისგულები არ გადაუტყავებიათ ტაშისცემით და ხმის აღტაცებით ყელისჩახლეჩამდე არ უყვირიათ ერთობ უხერხული, „ზვი-ა-დი... ზვი-ა-დი!" მაშინ, როცა „თავო ჩემო" გვქონდა ზარით სათქმელი. ეს მათ ჰყოფნიდათ სითამამე, აშკარად დაპირისპირებოდნენ ხელისუფლებას მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინა ფასადი აპრელებული იყო პირმოთნეთა ლოზუნგებით: „ჩვენ თქვენთანა ვართ, ბატონო ზვიად!..." „ერთსულოვნად მხარს ვუჭერთ პრეზიდენტს" და მისთანები.

ამავე კატეგორიას მიეკუთვნება „საეჭვოდ გაჩუმებული" ინტელიგენციაც, ვთქვათ — გურამ გეგეშიძისნაირები, რომელსაც „მრგვალმაგიდოსნელმა" კოლეგამ რადიოდან „თითი დაუქნია": ჩვენს მიტინგებზე არ დამინახიხარ და „აცა, მალე მოხვალ ფაცრის ყელში" — მოგეკითხებაო. (და არა მარტო გურამი — პუტჩისტ, დასაჭერ მწერალთა სიაში მე და ჩემი მეგობრებიც, სულ 60-მდე ადამიანი ვიგულისხმებოდით). და ამით, ფაქტობრივად, მთელს ინტელიგენციას გადაუშრიალა თვალები იმ უსამართლო სამართლის ძალით, ხელისუფლება თავადვე რომ ჭრიდა და კერავდა, რაც იგივე მრგვალმაგიდოსნელს უფლებას აძლევდა, ბატონ მერაბ კოკოჩაშვილისათვის ეთქვა: კომპარტიელობა დაგწამე, მაგრამ ბოდიშს მაინც არ მოგიხდი, იმიტომ, რომ მეგობრები კომპარტიელები გყავს და რა განსხვავებააო.

აი, ამგვარი აბსურდის აბსურდზე იგებოდა ბოროტების მაღლივი კაშხალი, რომელსაც შემდგომ მთლიანად ჩვენი საზოგადოება უნდა წაელეკა! მანამდე დასახელებულებს, ალბათ, სტუდენტებს მიაყოლებდნენ, შემდეგ — ნეიტრალებს, უბრალოდ, — დაღვრემილებს და ასე თანამიმდევრობით... გზადაგზა ადრინდელივით ინტელიგენციას — მარადიულ განტევების ვაცს, წააკლავდნენ „ჩაროზად", მერე, ამდენი ავკაცობა ვიღას შერჩენია და ერთმანეთს დაერეოდნენ ცოდვამორეულები — დანიავდებოდა მთელი საქართველო...

არადა, არქივიდან ამოღებული ძველი სცენარით პროცესი უკვე დაიწყო. მარტო ის უზნეობა რად ღირს, ქალაქელებს რომ დასწამეს პროვინციელთა ლანძღვა. ეს მაშინ, როცა, თუ დღემდე ვინმეს დაუფასებია მშრომელი ადამიანი, ეს — ქალაქის ინტელიგენცია ყოფილა, მწერალი, ხელოვანი თუ სხვა. ინტელიგენციას არ ესწავლება გლეხის დაკოჟრილი ხელების ფასი და იმ ისტერიულ დღეებში პრეზიდენტის „საშველად" და „დასაცავად" მომწყდარ პროვინციელთა ხელებს თუ რაიმე ჩამოჰყვა, ეს — მშობლიური მიწის სურნელია, რომლის მადლი ინტელიგენტზე უკეთ არავისა აქვს შეცნობილი და დაფასებული. ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილის ფესვები კვლავ პროვინციაშია და ეგეც არ იყოს, არც მკვიდრ ქალაქელებს უცხოვრიათ გარესამყაროსგან კოშკის კედლებით ქედმაღლურად შემოზღუდულებს, გაუცხოებულებს ყოველგვარი „პლებეურისაგან".

დღემდე არსებულ ყველა ხელისუფლებას კი მშვენივრად გამოუყენებია გლეხის დაკოჟრილი ხელები საკუთარი ბუდეების დასათბუნებლად და „ნარის მგლეჯავებადაც". სამწუხაროდ, გამონაკლისს არც ეს უკანასკნელი, ეროვნულად სახელდებული წარმოადგენდა: მთელი წელი ოპოზიციაზე ერის სახელით გაფთრებული ხალხი იყო გაჩაღებული და აქ „მდედრიონელთა" შედარებით უწყინარი თვითშემოქმედება როდი გვაქვს მხედველობაში, როცა ოპოზიციონერ დეპუტატებს შეურაცხყოფდნენ, სადგისებით ჩხვლეტდნენ, შარვლებს ახევდნენ, სცემდნენ და სესიის მსვლელობისას ქანდარებიდან თავზე აფურთხებდნენ. არც ერთეულთათვის ბინისა თუ მანქანის აფეთქებას, ანდა მოკვლის მცდელობას ვგულისხმობ. საუბარია, იმ გაუგონარ რეციდივებზე, რასაც ოპოზიციის ყოვლისმომცველი, გლობალური განადგურება უნდა მოჰყოლოდა. ამ შემთხვევაში იარაღად გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც ბოლშევიკებისდროინდელი ე. წ. „ხალხის ნება" და შესაძლოა შეიარაღებული უცხო ძალაც — რუსული არმია, რაშიც გვაეჭვებს გასული წლის ოქტომბრის თვეში დიდუბის ვაგზალზე მომხდარი აფეთქების ოპოზიციისათვის გადაბრალების მცდელობა, როცა ტელეეკრანიდან. რომელიც მთლიანად მთავრობის მიერ იყო მონოპოლიზებული, ცალსახად გაისმა: დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ამ დანაშაულში ოპოზიციის ხელი ურევია, მაგრამ მისი საქმის გაგრძელებად გვესახებაო (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიტოვანის გვარდიაზეა საუბარი და არა ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ინტელიგენციაზე). უცხო კაცმა, სამხედრო ეშელონის გამყოლმა რუსმა, დაიცვა შინაურისგან გაწირული ოპოზიცია, „უარყო თავსმოხვეული ვერსია — აფეთქება ავტომატის ჯერმა გამოიწვიაო და სხვა რომ საგულისხმო განაცხადა: კვამლი რომ შევნიშნე, სადგურის თანამშრომელი გავაფრთხილე — „კაშა ბუდეტ", მაგრამ იგი როგორღაც ზოზინობდა და აყოვნებდაო. პატიოსანი და უპატიოსნო ყველა ერში ურევია — რუსმა არ იკადრა ის, რაც ვინმე გაზაევს აკადრებინეს და ათქმევინეს: ოპოზიციამ ფულით მომისყიდა და იარაღი მომცაო.

„სუფთა ხელებით" არ დაურბევიათ „მხედრიონი" შავნაბადაზე, გამთენიისას, მიაქციეთ ყურადღება, — იმავე საათებში, როცა „9 აპრილი დაარბიეს", მოულოდნელად დაესხა რუსის ჯარი თავს. ეს კი ის დროა, როცა, რომ იტყვიან, „ერთი პირი ძილი წყალსაც მოერევაო", — ვის უნდა გაემეტებინა ასე ულმერთოდ?

სხვა ეჭვებს აღძრავს აეროპორტში თურმე სამშვიდობო მისიით ჩამოსულ ჩეჩნებთან შესახვედრად მურმან ომანიძის მოგვიანებით გამოცხადებაც: ხომ შეიძლებოდა, ალყაშემორტყმულ ოპოზიციას გაურკვევლობის გამო მათთვის სროლა აეტეხა და ძნელი წარმოსადგენი არაა, ამას რა მოჰყვებოდა, ამჯერად უკვე რა ძალა ჩაერთვებოდა მის წინააღმდეგ... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი პროვოკაციული ხასიათის რეციდივი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ გია ჭანტურიას, გოგა ხაინდრავას, ჯაბა იოსელიანის და სხვათა შეპყრობისა და „თელასის" გახმაურებულ ამბებზე...

ყოველივე ამით იმის თქმა გვწადია, რომ სამწუხაროდ, არც ისე „სუფთა ხელებით" კეთდებოდა საქმე, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ წარმოსახონ.

ყოველივე ეს ხდებოდა „ორმაგი მარყუჟის" პირობებში: დეზინფორმაციული ხერხებით, ანუ სიმართლის ჩახშობით, პრესა — რადიოტელევიზიაში ხელისუფლების მაამებლური მასალების მოზღვავებით იქმნებოდა სრული ინფორმაციული ვაკუუმი, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ობიექტური სინამდვილისაგან მოწყვეტა ეწადათ. პარალელურად ინასკვებოდა მეორე „მარყუჟიც". უცხოეთის ქვეყნებთან ეკონომიკურ კავშირებში ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებით ხორციელდებოდა საქართველოს გარესამყაროსგან იზოლაცია და ტირანიის სათარეშოდ ქცევა.

ადამიანთა ყოველგვარ გათიშვა-გაუცხოებას ერთი კულტივირებული შხამიანი შტამი — ეჭვის ბაცილა იწვევს. ეჭვიანი კაცი ბოლოს აღარც საკუთარ თავს ენდობა. რიგითი კაცისაგან ეს, უბრალოდ, შემაძრწუნებელია, მაგრამ ძლიერ საშიში ხდება, როცა ამ თვისებით ქვეყნის მბრძანებელი ხასიათდება. იმის ნაცვლად, რომ ურთიერთისთვის შემაკავშირებელი საოცარი ჯადო-სიტყვები გვეთქვა: ჩვენ ერთი სისხლისანი, ერთი მიწისანი ვართ, უნდა შევკავშირდეთ ყველა: ქართველიცა და არაქართველიც, პარტიულიცა და უპარტიოც, ყოფილი დამნაშავეც და ცოდვილიც, ფუნქციონერიც და დღემდე ბედოვლათი უფუნქციოც, ჩვენ მთელი განცხრომით შევუდექით მტრის ძებნას საკუთარ ერში...

(დასასრული იხ. 3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

ტელეფონი რეკავს — გვეკითხებიან

რა ბედი ეწია ჩვენს ობლიგაციებს?

ქალაქში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა შეწყვიტა 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გაყიდვა-შესყიდვის ოპერაციები. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში არაერთი მოქალაქე მოვიდა, ზოგი ტელეფონითაც დაგვიკავშირდა, აინტერესებდათ გაეგოთ: რა ბედი ეწეოდა მათ შეძენილ სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს, რომლებიც თავისუფალ მიმოქცევაში ოცი წლის ვადით იყო გამოშვებული.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ კახა პოპიაშვილს. მან გვითხრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 29 თებერვალს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად ეხმარება მას.

ცნობილია, რომ 1982 წელს თავისუფალ მიმოქცევაში გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების შესყიდვასა და განაღდებას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრკ შემნახველი ბანკის დაწესებულებების მეშვეობით ახდენდა. იმის გამო, რომ დაიშალა საბჭოთა კავშირი და აღარ არის საკავშირო სტრუქტურები, დღეისათვის არ არსებობს ორგანო, რომელიც იკისრებდა ამ ობლიგაციების მართვის გარანტის როლს. ამის გამო რუსეთმა უკვე შეწყვიტა ობლიგაციების გაყიდვა-შესყიდვის ოპერაციები და ჩვენც იძულებული ვართ დროებით მივმართოთ აღნიშნულ ზომას.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაითვალისწინა ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობა და იკისრა ყოფილი სსრ კავშირის ვალდებულებანი და გამოუშვა სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად 1992 წლის 5 მარტიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებები შეწყვეტენ 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გაყიდვა-შესყიდვას. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოსახლეობისგან მიიღებენ ობლიგაციებს და ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაუხდიან თანხას მისი წლიური შემოსავლის ცხრა პროცენტის გაანგარიშებით.

ობლიგაციებს შემნახველი ბანკის დაწესებულებები მიიღებენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისგან.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების მიმოქცევაში გამოშვებისას მოქალაქეებს, რომლებიც ჩააბარებენ 1982 წლის სესხის ობლიგაციებს, შესაძლებლობა მიეცემათ თავისი სურვილისამებრ ახალი სახის ობლიგაციები შეიძინონ შეღავათიანი პირობებით, კერძოდ, საკურსო ღირებულების გადაუხდელად.

შემნახველი ბანკის დაწესებულებები გაანაღდებენ ყველა იმ ობლიგაციებს, რომელთაც მოგება ხვდათ დაწყებული პირველი ტირაჟიდან მეოთხმოცე ტირაჟამდე ჩათვლით.

ობლიგაციების გაყიდვა-შესყიდვის შეჩერების შედეგად მოსახლეობაში არსებულ ობლიგაციებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს მთლიანად კისრულობს საქართველოს რესპუბლიკა.

ლარისა ხუგულური.

გამოიჩინეთ გულისხმიერება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრს, პირველი ჯგუფის ინვალიდს, ერთ-ერთი უმძიმესი სნეულებით — ლიმფური ჯირკვლების ანთებით — დაავადებულ 18 წლის ზურაბ ზურაბის ძე გრიგალაშვილს (მცხ. ქ. რუსთავი, ცერცვაძის 3-8) სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობა რუსეთის ერთ-ერთ კლინიკაში, რისთვისაც აუცილებელია დიდძალი ფულადი სახსრები, რისი გაღების საშუალებაც, სამწუხაროდ, გრიგალაშვილების ხელმოკლე ოჯახს არ გააჩნია.

მოგმართავთ თხოვნით, რათა გამოიჩინოთ თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება და თქვენს მიერ გაღებული შემოწირულობა გადმორიცხოთ ჩვენს ანგარიშზე: სახქსოცბანკის სამხარეო სამმართველო, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია), ანგარიში №000606115 (ზურაბ გრიგალაშვილის სამკურნალოდ).

წინასწარ მოგახსენებთ უღრმეს მადლობას.

ზაზა სიხარულიძე,
ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდენტი

გვწერენ „საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

„სოხნუთი" საქართველოს მეგობრებს ეძებს

ბატონი იციკ მოშე საქართველოში დაბადებული კაცი გახლავთ. ბავშვობაში გაუდგა თავის სამშობლოს გზას ისრაელისკენ. დღეს ამ ქვეყნის მოქალაქე მსოფლიოს ებრაელთა სააგენტო „სოხნუთის" სპეციალური პროექტების განყოფილებას განაგებს, თუმცა, დღემდე წელიწად-ნახევრის მანძილზე, ამ სააგენტოს წარმომადგენლად იყო საქართველოში.

ამ სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრი იერუსალიმშია და თითქმის ყველა ქვეყანაში აქვს ფილიალები, სადაც კი ებრაელები სახლობენ. იგი დღეს წარმართავს ებრაელთა რეპატრიაცია-აბსორციისა და ებრაული კულტურის განვითარებას მსოფლიო ებრაულ დიასპორაში და მოღვაწეობს ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასთან კოორდინირებით და შეთანხმებით.

ახლახან ბატონი იციკ მოშე თბილისს ეწვია, რათა ჩვენს ქვეყანას დაეხმაროს მსოფლიო ებრაული სააგენტოს მოდელის მსგავსი ორგანიზაციის ანუ ფონდის შექმნაში. იგი ამ იდეის თაოსანია და მისი აღსრულებისთვის გარკვეული თანხაც გაიღო.

პირველი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ საქართველოს დროებითი მთავრობის ხელმძღვანელებთან. დაისახა უახლოესი გეგმები და პერსპექტივები.

როგორც ბატონმა იციკმა საუბარში გვითხრა, ფონდის დამფუძნებლები ხდებიან არა საქართველოს მოქალაქენი, არამედ მსოფლიოს ქართული დიასპორა და საქართველოს არაქართველი მეგობრები, საზოგადო მოღვაწენი, ბიზნესმენები, რომლებსაც სურთ და მზად არიან დაეხმარონ საქართველოს. რაც მთავარია, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია არც პოლიტიკურია და არც სამთავრობო. ეს იძლევა ფართო ასპარეზზე მუშაობის დაწყებისა და ისეთი პროექტების დაფინანსების საშუალებას, რომელიც ხელსაყრელია არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფისთვის, არამედ მთლიანად ქართველი ერისთვის, საქართველოსთვის, დამფუძნებლები ხელს შეუწყობენ საქართველოსთან ეკონომიკური და სხვა კონტაქტების დამყარება-განვითარებას.

შეკითხვაზე, თუ როგორ ესახება აღმასრულებელი ორგანო, იციკ მოშემ ბრძანა, რომ დამფუძნებლებისგან იქმნება რწმუნებულთა საბჭო, რომელიც საქართველოში შექმნის აღმასრულებელ კომიტეტს. ფონდის რწმუნებულთა საბჭო წელიწადში ერთხელ შეიკრიბება და განიხილავს კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროექტებს, მათ შორის პრიორიტეტულ მიმართულებებს. მაგალითად, სტუდენტების საზღვარგარეთ დაფინანსებას, საქართველოში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურების განვითარებას, ქართული კულტურის გატანას უცხოეთში, ახსნა-განმარტებით-სარეკლამო საქმიანობას და ყოველივე იმას, რაც საქართველოს დააინტერესებს.

ამჟამად საქართველოში „სოხნუთის" წარმომადგენელია ისრაელის მკვიდრი მიხეილ კრიხელი.

ამჟამად საქართველოში „სოხნუთის" წარმომადგენელია ისრაელის მკვიდრი მიხეილ კრიხელი.

იციკ მოშემ შეშფოთება გამოთქვა ბოლო ხანს საქართველოში შექმნილი კრიმინოგენული სიტუაციის გამო. სამწუხაროდ, მრავალი ებრაული ოჯახი გახდა ყაჩაღური თავდასხმის ობიექტი, რაც, რაღა თქმა უნდა, ხელს უშლის ქართულ-ებრაული ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას. ამას თან ერთვის წინა ხელისუფლების დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაცია, რომლებსაც არასასურველი აჟიოტაჟი მოჰყვა [illegible] წრეებში.

ბატონმა იციკ მოშემ [illegible] გამოთქვა, რომ, ვინაიდან საქართველოს უახლოეს მომავალში მოუხდება მრავალი საკონსულოს და საელჩოს გახსნა, „სოხნუთის" საქართველოს ფონდის დაარსება დიდ გამოძახილს ჰპოვებს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ჰარაკირი,

ანუ ფარსმანობა საქართველოში

(დასასრული).

„ყასბების ჩხუბი ძაღლების ხეირიაო", — უთქვამთ: სისხლი, რომელიც ერთმანეთის კორტნით გვდის, მტრის ძარღვებში გადადის. ამ დროს ჰყვავის და იფურჩქნება ჩვენთვის მტრული ფენომენი ქართულ მიწაზეც და მის ფარგლებს გარეთაც, მით უფრო, თუ ისეთი მეზობლებიც გვყოლება, „სომეხთა მეცნიერნი" და „ქვათა ღაღადის" ავტორის, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ათივე თითი სანთლად რომ აუნთო, „ისე არ შეიბერტყება, მტვერი ქართველს არ შეაყაროსო".

ერთი პიესის პერსონაჟი ამბობს: „ქურდი იმიტომ ვარ, რომ ჩემთვის უკეთესი სახელი არავინ მოიგონაო". კაცში რომ ჯაშუშს, მოღალატეს, მტერს დაუწყებ ძებნას და ეჭვით შეხედავ, დროთა განმავლობაში იმ მტერს ძალით ჩაასახლებ მასში, თავდაცვის ბუნებრივი ინსტინქტი კარნახობს ამას. კაცს რომ ბანდიტს უწოდებ, ყვავილების თაიგულით არ დაგიწყებს დევნას, რადგან იმ კაცის ცოლს ბანდიტის ცოლს შეარქმევენ, შვილს — ბანდიტის ნაშიერს, დედას — ბანდიტის დედას და ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესით მომრავლდებიან ბანდიტებიც, სამშობლოს მოღალატეებიც, ჯაშუშებიც, კრემლის აგენტებიც და ათასი ჯურის გარეწარიც — მტრის ხატი განსხეულდება.

ახლა უკვირთ და გაოგნებული არიან. პრეზიდენტის ურდულ-ურჯულო ტახტი რამ მოარყიაო. რამ და მეტად მარტივმა რამემ — შიშმა, თვითგადარჩენის და თვითშენახვის მძლავრმა ინსტინქტმა. თუ კი იმპერიულმა რეჟიმმა ყოველგვარი ღირებულებისაგან გაგვძარცვა, კვლავ საკვებმომპოვებლებად გვაქცია და [illegible] ინტერნაციონალურ ბუნაგებში მოგვინდომა შერეკვა, ეროვნულად სახელდებულმა — საკუთარი ტყავის, საკუთარი ოჯახების გადარჩენა გვიქცია ნომერ პირველ პრობლემად და ამ საშიშ ინერციას, თავდაცვის ზემოხსენებულ ინსტინქტთან ერთად. ღვთის ნებაც აღუდგა წინ, დაუპირისპირდა უსამართლობას. დამნაშავე კი უპირველესად ის აგრესიული საპარლამენტო უმრავლესობაა, რომელიც დანაშაულებრივად უყურებდა, მეტიც — აქეზებდა ყოველგვარ თვითნებობას. საშინელებათა სერიალში ვგულისხმობდით მოვლენას, როცა პიროვნება საკუთარ თავისგან კერპს ქმნის, ხოლო როცა ეს ზემოდან მოდის — ქვეყნის უზენაესი გამგებლისაგან, თავი ეხდება პანდორას ყუთს და ქვეყანაში თარეშს იწყებენ ბოროტი სიმბოლოები: ტირანია, მლიქვნელობა, ცინიზმი, უსამართლობა, სიცრუე, მხრებსა შლის ფარსმანობა, როგორც მოვლენა, როცა დიდოსტატებს, ერის რჩეულ შვილებს, „მკლავებსა ჰრიან", — საციხე იმეტებენ.

თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყანაში ცოდვად ითვლება ჩაახშო კრიტიკა და არ შეიწყნარო ალტერნატიული აზრი, რამეთუ ძალმომრეობა და პირმოთნეობა დაღუპავს ქვეყანას.

დანაშაულია, როცა ხელისუფლების მხრიდან ნოყიერი ნიადაგი [illegible] ქვეყნის და [illegible]; როცა [illegible] დაწინაურება ხდება არა პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, არამედ მლიქვნელობის, ჯაშუშობისა და მაბეზღარობის, პროვოკატორობის ნიშნით;

დანაშაულია, ხელისუფლებამ საკუთარი უნდილობის შედეგები სხვას გადააბრალოს, რადგან სილაჩრესთან ერთად, იგი ამ დროს უნამუსობასაც აკანონებს... მეტი თუ არა, უხერხულია ეროვნული ხელისუფლება საკუთარ ხალხზე მაძღრისად ცხოვრობდეს: გავიხსენოთ, ომის დროს ზამთარში, როცა ლონდონი არ თბებოდა, ბუკინგემის სასახლიდან კვამლი არ ამოსულა — ინგლისის დედოფალი ერიდებოდა ღუმლის დანთებას — თანამემამულეებს გული არ ვატკინოო და რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. დანაშაულია, ხალხის სიყვარულის გამოყენება ბრმა იარაღად, პირადი ანგარიშსწორებისათვის; ყოველივე ზემოთქმული ელემენტარული ჭეშმარიტება გახლავთ, და იგი თანაბრად ეხება ყველა მთავრობას — ძველსაც და ახალსაც.

ასეთ ქვეყანაში აღარ გიკვირს, რომ უწმინდესსა და უნეტარესს — პატრიარქს, მოკვდავისა და წარმავალის ქება-დიდებასა და დაუმსახურებელ თანადგომას მოთხოვენ... ასეთ ქვეყანაში მთავრობა პასუხს აგებდა საქციელზეც, როცა ჭირისუფლად მხოლოდ მისი სავარძლის დაცვაში დაღუპულ ჭაბუკებს დაუდგა;

დემოკრატიისათვის მებრძოლ ქვეყანაში მთავრობა კვლავ კომუნისტურ წითელ ზანდუკში არ ჩაკეტავდა პიროვნების თავისუფლებას — ეკონომიკურსაც და სულიერსაც, რადგან თავისუფლება „შრომის ახსნასთან" ერთად სულის ახსნაცაა ბორკილებისაგან.

და ბოლოს, მკრეხელობა და უმძიმესი დანაშაულია, მიტინგები დაამსგავსო შავი მაგიის მსახურთა ორგიებს და „მამაო ჩვენოს" აკომპანიმენტქვეშ იქადაგო ძმათაშორისი ანგარიშსწორება და სისხლისღვრა.

ყოველივე ამით იმის თქმა გვსურს, რომ არ შეიმჩნეოდა რაიმე სამთავრობო ინიციატივა დემოკრატიის ხაზით, პრეზიდენტმაც, სამწუხაროდ, ვერ გაითავისა ქვეყნის მმართველის ფუნქცია და ბოლომდე ერთი პარტიული ბლოკის მეამბოხე ლიდერად დარჩა. საოცარია და, საკუთარი გაწამებული ერის მიმართაც იგი ისეთივე სასტიკი და უკომპრომისო აღმოჩნდა, როგორიც მტრის მიმართ იყო. არ მიიღო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მმართველი ვალდებულია უსმინდეს ყველას, უმრავლესობასაც და უმცირესობასაც, გულშემატკივრად უნდა ეგულებოდეს უცოდველსაც და ცოდვილსაც, მაგალითი უნდა იყოს ქრისტიანული ტოლერანტობისა. ნუ მიაქცევს ყურადღებას, თუ ერთმა კაცმა უთხრა — არ ვარგიხარო, იფიქროს, რომ ის ერთი კაცი ცდება, ანდა შურით ამბობს, ორს — მტრობაში ჩაუთვალოს, მაგრამ სამზე დაეჭვდეს, ოთხზე — დარწმუნდეს, რომ მართლაც რაღაც ყოფილა შესაცვლელი. ზვიად გამსახურდიას ამომრჩეველთა 13-მა პროცენტმა, ანუ თითქმის ყოველმა მეშვიდე კაცმა მისცა ალილუია და განა ეს რაოდენობა საკმარისი არ უნდა ყოფილიყო, რომ მას საკუთარი თავისადმი მცირედი ეჭვი მაინც გაჩენოდა? აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ როცა პრეზიდენტის მხარდამჭერ ამომრჩეველთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე — 87 პროცენტზე ვსაუბრობთ და ამ ციფრს წაღმა-უკუღმა ვატრიალებთ, ის ფაქტორიც გავიხსენოთ, რომ მიუხედავად ქვეყნის გაძვალტყავებულობისა მრგვალ მაგიდას არაფერი დაუზოგია აღნიშნული კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის და ნურც იმას დავივიწყებთ, როგორ გააიოლა ამ პროცენტის მიღწევა წინასწარ ჩატარებული მუშაობის წყალობით, რომელსაც უშუალოდ პრეზიდენტის ენერგიული მეუღლე მართავდა და ეს მას ცუდად როდი ხატავს. ცუდი ის უკადრისი ხერხებია, როცა წარმოება-დაწესებულებებში კვლავ ძველებურად იწვევდნენ საერთო კრებებს და დირექციების პრესქვეშ ღებულობდნენ ამგვარი შინაარსის კომუნისტურ რეზოლუციებს: „კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას!"... და ეს ხდებოდა მთელს რესპუბლიკაში.. რეზოლუციას თან ერთვოდა ასევე კოლექტიური ხელმოწერები, რომელიც ამომრჩევლებს აიძულებდა, რომ არჩევნებში ზვიად გამსახურდიასა და მრგვალი მაგიდისათვის მიეცათ ხმა. უცნაურია და ზოგს რაღაცის გაურკვეველი შიშიც კი ჰქონდა. ისიც საგულისხმოა, რომ შემდგომში პრეზიდენტს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ბლოკი განუდგა...

ის, რაც საბოლოოდ დასამარხებული გვეგონა, მხოლოდ მტვერწაყრილი, ანაბიოზის მდგომარეობაში ყოფილა. მზადდებოდა „რეპრესიები კუბში", ანუ ერის სასიცოცხლო და ინტელექტუალური პოტენციალის მორიგი და ალბათ საბოლოო იავარქმნა.

უმძიმესი დღეები უდგას ამჟამად საქართველოს, ჩვენი შემდგომი ყოფნა-არყოფნის განმსაზღვრელი. დაძაბულობის პიკმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. დღის ვიმკით იმის შედეგებს, რაც ურთიერთანგარიშსწორებისაკენ ხანგრძლივ, ისტერიულ მოწოდებებს მოჰყვა, რომლის აპოკალიფსური დაგვირგვინება დედაქალაქის იავარქმნილი გული და ბუნკერში დატრიალებული ტრაგედიაა, რასაც აღარც კაცის ხელი მართავდა და არც მისი ნება — პერგამოსის ტახტზე ტრიუმფალურად ამაღლებული ბედისწერა ზეობდა და ხარობდა, ზეიმობდა კაცის ცოდვილ სხეულზე გამარჯვებას....

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე მომხდარ ძმათამკვლელობას სხვას ვერაფერს შევარქმევთ, თუ არ სიცოცხლეზე აჯანყებული ერთი სხეულის გაუცხოებულ ნაწილების ურთიერთმოკვეთის გიჟურ მცდელობას, რაც თავისებურ ჰარაკირად, ერის თვითლიკვიდაციის უკიდურეს ფორმად უნდა მივიჩნიოთ, რითაც ჩვენმა ორიენტაციადაკარგულმა ეროვნულმა მეობამ სიმპტომატურად მიგვანიშნა უკიდურეს საფრთხეზე: თვალნათლივ გვიჩვენა აპოკალიფსის ზღურბლზე მიმდგარი ჩვენი საზოგადოების დაცემა-დეგრადაციის ზღვარი და აძით გამოსაფხიზლებელი განგაშის ნიშანი მოგვცა...

...თუ დღემდე ვინმეს დაუფასებია მშრომელი ადამიანი, — ეს ინტელიგენცია ყოფილა, მწერალი, ხელოვანი და სხვა. ინტელიგენციას არ ესწავლება გლეხის დაკოჟრილი ხელების ფასი...

ახლა ვამბობთ, სისხლი დაიღვარაო. იქ, ბუნკერში, სისხლი დაიღვარა [illegible] ოდიოზური [illegible] და რაც ყველაზე შემზარავია, მკვლელსაც და მოკლულსაც ანუ დედმამიშვილებს ერთი ჯგუფის სისხლი ედგათ, ბუნკერში იყო თუ ბუნკერს გარეთ — ეს სულ ერთია... ახალწლის ღამეც პერგამოსის ტაძრის ქურუმთა საიდუმლო რიტუალური ორგია იყო, ვამპირი დიაცების რეჟისურით გათამაშებული...

და ყოველივე ამის შემდეგ რა სასჯელია, რომ ერთი ხურჯინის ორ თვალსა ვართ გადაკიდული და ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით, ხვალ-ზეგ კვლავ ერთი ცოდვილიანი მიწა უნდა ვთელოთ და ერთი შეძრული ჰაერი ვისუნთქოთ... და მაინც, რა შვებაა მსასოვარი ფიქრი იმ ერთადერთ ცრემლზე, რომელმაც კაცისმკვლელი ავაზაკის ცოდვები გადაწონა ზეციურ სასწორზე, ლოცვა ჩვენი გაყინული გულებიდან წაგვრილი მადლის უკანმობრუნებისთვის — ცრემლი მონანიებისა...

...საქართველოში მრავლად გვაქვს წმინდა ხეები, მაგრამ, თუ ღმერთი გაწყრა და რომელიმე მათგანზე კაცმა თავი ჩამოიხრჩო, იმ ხეს სახელს უცვლიან და „ცოდვიანს" შეარქმევენ: ცოდვიანი მუხა, ცაცხვი, კაკალი... ის წმინდა ადგილიც, სადაც წითელმა ალქაჯებმა თავისუფლებისათვის დაცემულ იუნკერთა სასაფლაო და ღვთის სახლი შებილწეს, და სატანას სასახლე აუგეს, სადაც 9 აპრილის სისხლიც დაიღვარა, უკვე ცოდვიანად ითვლება (და არა — დაწყევლილად) და ბოროტების სასახლე ჯვრის ძალითა და მადლით უნდა განიწმინდოს და მონასტრების, განსჯა-ფიქრისა და დუმილის საყუდრად ვაქციოთ...

და აქ უკვე ჩემს გაოცებასაც იწვევს პრეზიდენტის მხარდამჭერთა დაუსრულებელი, მე ვიტყოდი, თვითმიზნური და ჯიბრიანი მიტინგები. რას უჭერენ მხარს: „ჭოჭოხეთის გაგრძელებას თუ ცოდვების გამრავლებას, ანუ „რეპრესიებს კუბში?!" ამ ირეალური სიმართლის ძებნაში მაინც როდემდე უნდა მივეხალ-მოვეხალოთ ერთმანეთს, ერთ მშვენიერ დღესაც ხომ დაცავილეწებით, როგორც ალვის ხის ტოტები ქარიშხალში? საკუთარ გრძნობებსა და ამბიციებს აყოლილნი ვიღას ვუტოვებთ ჩვენს ბედკრულ საქართველოს? ნუთუ არ უნდა დავფიქრდეთ ამაზე? მაპატიონ ზოგიერთებმა, მაგრამ მე მათ სხვანაირად უკვე ველარ აღვიქვამ, თუ არა იმ კანიბალური ორგიის მომწყობთა თანამეინახეებს.

ვფიქრობდი, რომ ისინი, რომელთა ტაშის გრიალში ის შემზარავი ტრაგედია გათამაშდა, სინდისის ქენჯნის გარეშე ველარ გაივლიდნენ შვილების სისხლშეუშრობალ რუსთაველზე, მაგრამ შევცდი: მთავრობის სახლის წინ თავშეყრა და საპროტესტო „მარშიროვკები", მომიტინგეთა ერთ ნაწილს უკვე ცხოვრების საზრისად ექცა. აქ პოვეს მათ ასპარეზი, სულის შვება, რადგან ხელისუფლებამ ახალი ტიპის ამ „სოფლის მაშენებლებს" უზენაესის წინ ყოველდღიურად მოედნის ტკეპნა დიდ მამულიშვილურ საქმედ, პოლიტიკურ მოღვაწეობად ჩაუთვალა და ახლა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს უჭირთ ცხოვრებაში სრულფასოვან მოქალაქეებად დაბრუნება, კვლავ ოჯახური და საზოგადოებრივი ტვირთვის ზიდვა...

მათი გონება ისე ირეკლავს პრეზიდენტის აუგს — მართალ, ჭეშმარიტ სამხილებს, თითქოს წყალზე იწერებაო. ზვიად გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის ხატს ამ ხალხის თვალში ოდნავი ჩრდილიც არ ადგება.

ჩვენი აზრით, ამგვარ ფანატიზმში მოულოდნელი და გასაოცარი არაფერია: ქართული სული ხანგრძლივად მოწყვიტეს ქრისტიანულ ცნობიერებაზე ამოზრდილ უმძლავრეს ისტორიულ ფესვებს და ერის მსოფლმხედველობრივმა განვითარებამ მახინჯი მიმართულებით იწყო სვლა, ისევე, როგორც ლოჯად ჩამოზრდილმა კბილმა, რომელსაც დროზე გზა არ გაეხსნა. ზეცისკენ გზადახშული ვარჯი მიწას ჩაეზარდა და უკუმიმართულებით — ბნელეთისაკენ, ქვესკნელისაკენ წარიმართა... ჩვენს ფსიქოლოგიასა და მსოფლმხედველობაში ჩაბუდებული კერპთაყვანისმცემლური ექსტაზიც იდეალისაკენ გზაგადაკეტილი სულის მძლავრი, მაგრამ მახინჯი ამონაყარია, რაც ჩვენი ეროვნული ტრაგედიაა, მაგრამ დიდი რელიგიური ლტოლვის, წყურვილის მიმანიშნებელიც; ეს კი იმის იმედს იძლევა, რომ ქართული სულის გაუხარჯავი რელიგიური პოტენცია დღეს თუ არა ხვალ მაინც იპოვის ჩვეულ კალაპოტს და კვლავ სწორი მიმართულებით განვითარდება, თუკი, რა თქმა უნდა, წონასწორობას შევინარჩუნებთ და მანამდე ფიზიკურად არ გადავშენდით...

ამ მოვლენის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ „ისინი" ჩვენი სისხლხორცნი და — ნათესავნი არიან, „ისინი" ჩვენა ვართ და „ჩვენ" კიდევ — „ისინი" — ერთი სხეულის ნაწილები, ბედკრული საქართველოს შვილები და ურთიერთს თანშეზრდილებს, ერთ სულთ და ერთ ხორცთ ცასა და მიწასავით რაიმ სამანი, სადემარკაციო ხაზი არ გაგვაჩნია. სინამდვილეში [illegible] ყველანი გაუყოფელნი ვართ...

უმძიმესი დღეები უდგას ჩვენს მრავალტანჯულ მიწას. ჯერ „ლიხსიქიდან" დაიძრა შემაშფოთებელი ხმები (ღმერთო, ნუთუ ამასაც შევესწარით?), გაისმის საქართველოს ორ ნაწილად გახლეჩის მუქარა. ნუთუ ვინმეს არ ესმის, რომ ჩვენს სამშობლოს არც „აღმოსავლეთი" ჰქვია და არც „დასავლეთი", არამედ — სრულიად საქართველო. გახლეჩით კი, მარტივუჯრედიანების გარდა, ნებისმიერი ორგანიზმი კვდება, მით უფრო, თუ იგი ისეთ მაღალგანვითარებულ მატერიას წარმოადგენს, როგორიც ეროვნული სხეულია. და რა მძიმე მოსასმენი იყო ის საშინელი ბრალდებები, თბილისელთა მიმართ მავან პროვინციელთა პირით ნათქვამი, ქვეყნის დასაღუპავად გამიზნული, ისეთივე პროვოკაციული, როგორც მისი საპირისპირო — „თბილისი დასავლეთიდან ჩამოყვანილ ბატალიონს დაარბევინესო". ყოველივე ეს გამიზნულია სეპარატიზმისათვის, რასაც ასე მონდომებით ესწრაფვის კაცის გვამში შესული სატანა და მიაღწევს კიდევაც მიზანს, თუ კი აზვირთებულ ბრმა ემოციებს გონიერებამ არ ამოსდო ლაგამი. ამგვარმა უპასუხისმგებლო განცხადებებმა და ქმედებებმა, ჩვენდა შეუმჩნევლად და ასე თამაშ-თამაშით, შეიძლება მართლაც დიდ გახლეჩამდე მიგვიყვანოს და უფსკრულში გადაგვჩეხოს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის შემხედვარეებს რა უნდა გაგვიკვირდეს?!., მართლაც და „ნაბან წყალს ბავშვიც ზედ მივაყოლოთ?" ანუ ქვეყნის თავისუფლების იდეა ერთი ადამიანის სკამს ვანაცვალოთ?...

კაცს მწარე ღიმილი მაინც მოგერევა: ნეტავი გურიაზე მაინც რას ფიქრობდნენ, ერთი „დიდი კაცი" და ერთი საფიცარი სახელი — ნოდარ დუმბაძე რომ შეულანძღეს? აღარაფერს ვამბობთ ედუარდ შევარდნაძეზე, საქართველოსათვის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ერთადერთ რეალურ მხსნელ ძალაზე. არც ის გვგონია, რომ დინჯი სვანი გადაუდგეს ერთიანი სამშობლოს იდეას, მით უფრო, ბარში ჩამოსახლებულ თვისტომთან საბაჟოების გავლით უცხოეთის პასპორტით სტუმრობა ისურვოს. ნუთუ ისედაც ხელისგულისოდენა ქვეყანა ნასვრეტებიან შვეიცარიულ ყველს უნდა დავამსგავსოთ? — რის იმედით?

ამ სულელური კომედიის დასაგვირგვინებლად ისღა დაგვრჩენია, წარსულის ჯურღმულებიდან კვლავ გამოვიხმოთ ავბედითი აჩრდილები და აღმოსავლეთ საქართველო ირანის შაჰებს მოვასრევინოთ. დასავლეთი — თურქეთის სულთანებს და გაოცებული მსოფლიოს თვალწინ ისტორიის ავანსცენაზე ტაკიმასხარებად გამოვჩნდეთ, შემდეგ კი დაჟინებით მოვითხოვოთ: გინდათ თუ არა, გვცანით და გვაღიარეთ — სრულფასოვნები ვართო!..

..ზოგჯერ მეჩვენება, რომ კაცობრიობის ისტორია სპირალურად ისახება ყოფიერების ცაზე და რაღაც მომენტში ხაზები ერთმანეთს კვეთენ. თუმც ეს ილუზიაა, ერთგვარი „თვალის სეირი", ისეთივე, მზის დაბნელებისას რომ გვგონია, თითქოს ნამცეცა მთვარეს ძალუძს მზე დაჩრდილოს. მაგრამ, დიდი კოსმოსური განჩინებით ამ მომენტში მეხსიერება უკვე მომხდარის საბედისწერო დამთხვევებს აფიქსირებს, იდუმალი სიმბოლური მინიშნებებით ისტორია მეორდება... იგი ბევრ რამეს გვებნება საგულისხმოს:

— ცვილით აკინძული ფრთებით დააღწიეს კუნძულ კრეტადან მეფე მინოსის ტყვეობას თავი დიდოსტატმა დედალოსმა და მისმა უიღბლო ვაჟიშვილმა — იკაროსმა. ფრენაში გართული ჭაბუკი სივრცეს გაუთამამდა, მზისკენ მონდომა გაფრენა, დაივიწყა ფრენის უზენაესი მიზანი — თავისუფლების მოპოვება... და დაიღუპა...

ზვიად გამსახურდიას მისმა თაყვანისმცემლებმა, უპირველესად კი მათ, ვინც სამთავრობო სავარძლებში მოკალათებულები გალიავებულ პერანგებქვეშ ვერ მალავდნენ ქურქურ ტოტემებს, არც თუ უანგაროდ ?! ნაჩქარევად აუკინძეს საფრენი ფრთები, აუშვეს ცაში,ააფრინეს მაღლა, სულ მაღლა, რომ შემდეგ, დაცემისას, საბოლოოდ დამსხვრეულიყო და ახლა პირლია ცნობისმოყვარეობით შესცქერიან ციდან მოფარფატე ბუმბულებს, იმედგაცრუებულები შეიგრძნობენ მწარე ჭეშმარიტებას, რომ მკრეხელობაა მოკვდავი კაცის ცას მიხატება და რომ მსოფლიო მიზიდულობის კანონი მხოლოდ წმინდანებზე არ ვრცელდება, ასეთები კი საუკუნეებში ერთხელ იბადებიან...

და ახლა განჭვრეტილი (ბოროტის კეთილად წარმომსახველი) ხალხის თვალწინ წინაპართა წმინდა მიწისკენ, სადაც ის დიდებული მეფე განისვენებს, გულზეგადაღლილი შთამომავლობის ფეხთამტვერი რომ ირჩია ყოველგვარ პატივს, მოექანება მყისიერად ამაღლებული კაცი, რომელმაც თავისი მზეაობრიობით ზეცას შეუწყო — სადღაა მისი ადგილი?!... მოექანება ნატანჯი, სამწუხაროდ, სულ სხვა ორიენტაციის, მართლაც უაღრესად განათლებული ადამიანი, ვისთვისაც თუნდაც მეორე მითიური ჭაბუკის — ფაეტონის ბედს მაინც უნდა მიენიშნებინა საგულისხმო რამ, აღსასრული იმ უბედური გამოუცდელი გმირისა, მზის ეტლით გასეირნება ბედისწერად რომ ექცა და სულ მოკლე ხანში უბედურება მოუტანა საკუთარ თავსაც და დედამიწასაც...

ზვიად გამსახურდია მსხვერპლია, მაგრამ მეტად თავისებური. როგორც უკვე ითქვა, იგი უპირველესად თაყვანისმცემლებისაგან გამეტებული კაცია. მისი აღმართ-დაღმართები არც ფაეტონისეული უბედურება და არც რაიმე ზეციური სასწაულის შედეგი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამჯერად კერპის დაცემას არავითარი მითიური მეხთატეხა არ მოჰყვება. ეს, შესაძლოა, ჩვენ — წუთისოფლის გზაწვრილებს ადვილებულ მოკვდავთ გვეჩვენება ასე. წინაპართ სიბრძნისა არ იყოს — „გვარტომი მიდის, გვარტომი მოდის — დედამიწა კი მარადის რჩება". ღვთის შეწევნით, „ტურფა საბალნარო" კვლავაც გაყვავდება.

მშვიდობა მარადისობა...

25. 1. 92 წ.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რუსთაველის გამზირის აღდგენის ფონდში.

როცა პიროვნება საკუთარ თავისაგან კერპს ქმნის, ხოლო როცა ეს ზემოდან მოდის — ქვეყნის უზენაესი გამგებლისაგან, თავი ეხდება პანდორას ყუთს და ქვეყანაში თარეშს იწყებენ ბოროტი სიმბოლოები: ტირანია, მლიქვნელობა, ცინიზმი, უსამართლობა, სიცრუე, მხრებსა შლის ფარსმანობა, როცა დიდოსტატებს, ერის რჩეულებს „მკლავებსა ჰრიან"...

●

ქართული სული ხანგრძლივად მოწყვიტეს ქრისტიანულ ცნობიერებაზე ამოზრდილ უმძლავრეს ისტორიულ ფესვებს და ერის მსოფლმხედველობრივმა განვითარებამ მახინჯი მიმართულებით იწყო სვლა, ისევე, როგორც ლოჯად ჩამოზრდილმა კბილმა, რომელსაც თავის დროზე გზა არ გაეხსნა.

დედაშვილობა

შემთხვევა

ზნავასის ხეობაში (გორის რაიონი, ატენის თემი) ახლა, რომ იტყვიან, მამაპაპური ზამთარია. სოფლები ერთიანად თოვლშია გახვეული. ძაღლები ერთგულად დარაჯობენ სახლებს, ეზოებს, სოფლის გზებსა და ორღობეებს. და მაინც, ღრმა ზამთარია და ტყის ნადირი მთიდან, შიმშილი რომ შეაწუხებს, ქვემოთ, სოფლისაკენ მოიწევს.

— ზნავასში, სოფლის განაპირას ვცხოვრობ, — მიამბობს ამ სოფლის მკვიდრი ვლადიმერ თეზელაშვილი. — სოფელი თავდება და ბერეთის ტყეც იწყება. რკო ტყეში ბევრია, და ჩემი ორი დედალღორიც გოჭებიანად დილიდან გვიანობამდე ტყეში თოვლში იჩიჩქნება — რკოს ეძებენ.

ამ ორიოდე დღის წინ, შუადღეზე რომ არ დაბრუნდნენ, თავად წავედი ტყიდან ღორების ჩამოსაყვანად. კვალს მივყვებოდი, კვალი კი ტყის სიღრმეში შედიოდა. ანაზდად ღორების განწირული ღრუტუნ-ჭყვიტინი შემომესმა. ნაბიჯს ავუჩქარე და — რას ვხედავ?!.. ღორებს გოჭები მუხის ქვეშ მიუმალავთ, თვითონ კი გააფთრებით იგერიებენ — როგორ გგონიათ, ვის? — მგლის შემოტევას.

მგელი ღორებს გარშემო ძუნძულით უვლიდა, ცდილობდა რომელიმე მაინც მოეტაცა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, დედალღორები თავგანწირვით იცავდნენ პატარებს.

მოკლედ, ტყეში ჭყვიტინ-ყმუილის შემზარავი ხმები ირეოდა.

თოფი თუმცა თან მქონდა, არ მისვრია. მგელმა დამინახა და გაიქცა, თან ძლიერ მიარღვევდა თოვლს. მგელ-მეთქი ვამბობ, თორემ, ახლადზრდადასრულებული მგლის ლეკვი უფრო იყო, ეტყობა, რაღაც მიზეზების გამო, ხროვას ჩამორჩა და ტყეში მარტო დარჩა.

შესაძლოა, ეს მისი პირველი ნადირობაც იყო, იგი, უეჭველია, დედალღორების სიდიდემ შეაშინა და, ნადირობაში ხამმა, ვერ გაბედა მათზე თავდასხმა.

ზურამ ვაშაკიძე.

ონდატრის მოშენება სარფიანი საქმეა

კრასილოველები კარგად იცნობენ მოყვარულ მონადირეს პ. ანდროშჩუკს. დღეს მისმა საქმიანობამ ბევრი შეიძლება დაინტერესოს. ახლა ხომ ყველას ერთი აზრი გვტრიალებს მუდამ. როგორ გავიტანოთ თავი? რა საქმიანობა მოგვცემს შემოსავალს?

ანდროშჩუკი უკვე ათი წელია ონდატრას აშენებს. პატარა მხეცუნაა ონდატრა, მაგრამ ძალზე ნაყოფიერი. სეზონში — მარტიდან სექტემბრამდე ექვსჯერ მაინც მშობიარობს და ყოველ ჯერზე 6-8 ნაშიერს ყრის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ონდატრის ბეწვი და მისი ნაწარმი სწრაფად ძვირდება, ფრიად შთამბეჭდავ შემოსავალს იძლევა. დღესდღეობით ეს შემოსავალი სეზონში 100 ათას მანეთს აღემატება.

ონდატრის მოვლა ძნელი არ არის. შინაურ პირობებში მისი მოვლა-მოშენების მრავალი ხერხი არსებობს. ჩვეულებრივ ეს არის 1-3 კვადრატული მეტრი გალია და შიგ ჩაშენებული 30-50 ლიტრიანი აუზი. მასალად შეგვიძლიათ გამოიყენოთ ლითონი, რკინის ბადე, შიფერი და სხვა. ონდატრას თითქმის ისევე უვლიან, როგორც ნუტრიას, მაგრამ მეტი რუდუნება დაგჭირდებათ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი კვება არ ძვირს. ეს ნადირი 80-მდე სახეობის წყლის მცენარეს, ყოველგვარ კულტურულ მცენარეს და სარეველას, ტოტებს, მარცვლეულის ნარევს და კომბინირებულ საკვებს, ბოსტნეულსა და ხილს ჭამს.

კარგი იქნება, ულუფაში 5-10 პროცენტი ცხოველური საკვები, რძის ფაფა, წვრილი თევზი და მოლუსკი გაურიოთ. სეზონში ათი ოჯახი თავის ნაშიერიანად დახლოებით იმდენ საკვებს სჭამს, რამდენსაც ერთი ღორი, ოღონდ გაცილებით იაფს. ერთი სიტყვით, სარფიანი საქმეა, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე მწვავედ დგას შემოსავლისა და ახლანდელ ვითარებაში თავის გატანის საკითხი.

ვინც დაინტერესდება ინდივიდუალურ მეურნეობაში ონდატრის მოშენებით, მიმართეთ ასეთი მისამართით: 281501, ხმელნიცკის ოლქი, კრასილოვი-1. პ. მ. ანდროშჩუკი. იგი ხალისით გაგიზიარებთ თავის გამოცდილებას.

„არგუმენტი ი ფაქტი",
1992 წ. № 6.

ტრიუმფი

ხეორხია, ხეორხია! — იქუხა დარბაზმა, როდესაც გამოაცხადეს, რომ საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრებმა პირველი ადგილი მოიპოვა.

ტრიუმფული აღმოჩნდა ჩვენი ექვსივე სპორტსმენის მონაწილეობა ევროპის ამ მეორე ჩემპიონატში. ორი დღის მანძილზე ესპანეთის საკურორტო ქალაქ სალოუს მცხოვრებნი და უამრავი სტუმარი აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს ჩვენი ბიჭების ძალასა და ტექნიკას.

ევროპის პირველობაზე მედლები თორმეტ წონით კატეგორიაში განაწილდა. ჩვენგან, ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, მხოლოდ ექვსი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები ჩავიდნენ სალოუში და ყველამ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

აი, ევროპის ახალი ჩემპიონებიც: ლერი სალლიანი (70 კგ), გელა ბეწუაშვილი (75 კგ), ჯიმი მერაბიშვილი (80 კგ), კობა თოდაძე (85 კგ), ერეკლე სალლიანი (90 კგ), ზაურ ცხადაძე (110-ს ზემოთ).

— გაჭირვებას რა ვუთხრათ, თორემ უფრო მეტი მედლის მოპოვებაც შეიძლებოდა, თბილისში ისეთი მკლავჭიდელები დავტოვეთ, — გვითხრა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა და მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ მუსელიანმა, — ჯერ კიდევ ნორვეგიაში გადაწყდა, რომ 1993 წლის მაისში ევროპის მესამე ჩემპიონატი საქართველოში გამართულიყო. სალოუში გაიმართა ვაფის-მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციის კონგრესის სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ევროპის მომავალი პირველობის ორგანიზაციულ საკითხებზე. აღინიშნა, რომ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატზე, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს, ჩამოვა ვაფის პრეზიდენტი ინდოელი ბარიჯ ბარიდასი.

ჩოგანი

კონგრესზე გამოითქვა იმედი, რომ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა დამყარდება, სხვა შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატი გადაიდება და ქართველ მაყურებელს უდიდესი სიამოვნება მოაკლდება.

რედაქციაში სამომავლო საქმეებზე საუბრისას ვახტანგ მუსელიანმა და საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და მთავარმა მსაჯმა ირაკლი შაიშმელაშვილმა აღნიშნეს, რომ მიღებულია მიწვევები აშშ-დან ღია კომერციულ ტურნირებზე, წელსვე ჩვენს მკლავჭიდელებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოვიდნენ იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის დარბაზებში.

დასასრულ ვახტანგ მუსელიანმა და ირაკლი შაიშმელაშვილმა გვთხოვეს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ თენგიზ სიგუას, ტურიზმისა და სპორტის მინისტრს ბატონ კახი ასათიანს, მკლავჭიდელთა დელეგაციის ხელმძღვანელს ბატონ გივი მაისურაძეს, სპონსორებს — ფირმა „რესპუბლიკას" და კავკასიის ბირჟას, საქართველოს ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსს ბატონ ზურაბ ჭანკვეტაძეს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ესპანეთის ტურნირზე ნაკრების წევრთა გასამგზავრებლად.

იულონ ტოლიაშვილი.

სურათზე: ვახტანგ მუსელიანი და ირაკლი შაიშმელაშვილი ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულის მთავარი პრიზით.

შალვა ბოქაძის ფოტო

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“



თამაზ გიგილურის ფოტო.

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ არის თანამოაზრე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც თავის მოღვაწეობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობისა და ქართულ ეროვნულ სამართლებრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ადათობრივი ნორმების ფარგლებში.

„ლემის“ უზენაესი მიზანია რესპუბლიკის არჩევით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში აქტიური მონაწილეობის გზით საქართველოს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ერის ინტერესების, მშრომელი ადამიანის სოციალური და სამართლებრივი ნორმების დაცვა. იგი გმობს პოლიტიკურ ბრძოლაში ძალის გამოყენებას.

მისი დევიზია: ერთიანი, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველო, ეროვნული და სოციალური სამართლიანობა.

„ლემის“ ნებისმიერი დონის ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული პირი ფიცს დებს ღვთისა და ერის წინაშე საქართველოსა და „ლემის“ იდეალების ერთგულებაზე.

I. „ლემის“ სტრუქტურა და მართვა

„ლემის“ მართვის უზენაესი ორგანოა ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში — რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭო.

— ყრილობა მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ, იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი.

— ყრილობა განსაზღვრავს ორგანიზაციის მოღვაწეობის საერთო მიმართულებას, იღებს პროგრამას და წესდებას.

— საჭიროების შემთხვევაში ყრილობებს შორის პერიოდში შეიძლება მოწვეულ იქნას რესპუბლიკური კონფერენცია.

— ყრილობა ფარული კენჭისყრით ირჩევს რესპუბლიკურ ნაფიცთა საბჭოს და სარევიზიო-საკონტროლო კომისიას. ასევე ფარული კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს.

ყრილობა ისმენს რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭოს ანგარიშს და აძლევს მას შეფასებას.

ყრილობის გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

II. რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭო

— წარმოადგენს „ლემის“ უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს ყრილობებს შორის პერიოდში.

— საბჭოს შემადგენლობაში რეგიონალური ორგანიზაციებიდან ირჩევა შვიდ-შვიდი, ხოლო აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან 12-12 წარმომადგენელი.

— საბჭოს ეძლევა კოოპტაციის უფლება.

ნაფიცთა საბჭოს სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ, იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ასეთ შემთხვევაში დადგენილების მისაღებად საჭიროა ხმების ორი მესამედი. ხოლო თუ სხდომას ესწრება ორ მესამედზე მეტი, მაშინ დადგენილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

III. რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭო უფლებამოსილია

— განიხილოს და დაადგინოს ყრილობის და კონფერენციის მოწვევის ვადები, წარმომადგენლობის ნორმები.

— ჩამოაყალიბოს მუდმივმოქმედი კომისიები და წარმართოს მათი საქმიანობა.

— ხელმძღვანელობა გაუწიოს რეგიონალური და პირველადი ორგანიზაციების ნაფიცთა საბჭოების მუშაობას.

— რესპუბლიკის ნაფიცთა საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა რეგიონალური და პირველადი ორგანიზაციების ნაფიცთა საბჭოებისათვის.

— რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭო ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

— სხდომებს შორის მუშაობას წარმართავს პრეზიდიუმი, რომელსაც ირჩევს ნაფიცთა საბჭო ფარული კენჭისყრით.

— პრეზიდიუმს ხელმძღვანელობს ყრილობის მიერ არჩეული თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე და ნაფიცთა საბჭოს მიერ არჩეული მოადგილეები და პასუხისმგებელი მდივანი.

— პრეზიდიუმის სხდომა ტარდება, როგორც წესი, თვეში ერთხელ, იგი იხილავს მიმდინარე საკითხებს, ღებულობს გადაწყვეტილებებს და ამზადებს საბჭოს სხდომებს. წარმართავს საფინანსო საქმიანობას.

— პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია ნაფიცთა საბჭოს წინაშე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა რეგიონალური და პირველადი ორგანიზაციებისათვის.

— „ლემის“ რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭოს ხელმძღვანელი პირები და პრეზიდიუმი უფლებამოსილნი არიან კონტროლი გაუწიონ ყრილობის და საბჭოს დადგენილების შესრულებას, მისცენ დავალებები „ლემის“ თითოეულ წევრს.

— რესპუბლიკაში მოქმედებენ „ლემის“ რეგიონალური ნაფიცთა საბჭოები, რომლებიც ექვემდებარებიან რესპუბლიკურ ნაფიცთა საბჭოს.

— რეგიონალური ნაფიცთა საბჭოები ხელმძღვანელობენ პირველადი ორგანიზაციების ნაფიცთა საბჭოებს.

— რეგიონალური ნაფიცთა საბჭოს შემადგენლობა აირჩევა რეგიონის კონფერენციაზე ფარული კენჭისყრით. თავის მხრივ, ნაფიცთა საბჭო ირჩევს გამგეობას, თავმჯდომარეს, მოადგილეებს და პასუხისმგებელ მდივანს.

— რეგიონალურ განყოფილებებს ენიჭებათ ფართო ავტონომიური უფლებები, უფლება ეძლევათ გახსნან ანგარიშები ადგილობრივ ბანკებში, საქმიანობას წარმართავენ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

— რეგიონალური ნაფიცთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა პირველადი ორგანიზაციებისათვის.

— პირველადი ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიალური პრინციპით თუ მასში გაერთიანებულია 10 ან მეტი წევრი.

— პირველადი ორგანიზაცია, რომელშიც არის 10-20 წევრი, ირჩევს ნაფიც რწმუნებულს. 21-100 წევრი ნაფიცთა თავმჯდომარეს და ნაფიცთა ხუთეულს. იქ, სადაც 100-ზე მეტი წევრია — ნაფიცთა საბჭოს. ნაფიცთა საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს პირველადი ორგანიზაციის კრება. არჩევნები ყველა დონეზე ტარდება ფარული ან ღია კენჭისყრით. რესპუბლიკურ ნაფიცთა საბჭოსთან იქმნება „ლემის“ მხარდამჭერთა ორგანიზაცია.

IV. ორგანიზაციის წევრები

— „ლემის“ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელიც აღიარებს მის წესდებას და პროგრამას და არ არის სხვა პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი.

— „ლემში“ მიღება ხდება პირადი განცხადების და „ლემის“ ერთ-ერთი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე, ფიცის მიღების გზით

— „ლემის“ წევრს ეძლევა პირადობის მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

— ორგანიზაციაში ახლად მიღებული წევრი იხდის შესასვლელ საწევროს 25 მანეთს, ხოლო შემდგომ ყოველთვიურად — 3 მანეთს.

V. „ლემის“ წევრს უფლება აქვს

— ისარგებლოს გადამწყვეტი ხმის უფლებით ორგანიზაციის ყველა კრებაზე.

— აირჩიოს და არჩეული იქნას „ლემის“ ხელმძღვანელ ორგანოებში.

—მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის ღონისძიებათა ჩატარებაში, გამოთქვას თავისი აზრი მათი მიზანშეწონილობის შესახებ.

— სურვილისამებრ გავიდეს ორგანიზაციიდან, რის შესახებაც წერილობით წინასწარ უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას.

VI. „ლემის“ წევრი მოვალეა

— იცავდეს ორგანიზაციის წესდებას, ასრულებდეს ყრილობის და ნაფიცთა საბჭოს დავალებებს, მონაწილეობდეს „ლემის“ საქმიანობაში პროგრამის შესაბამისად. იყოს პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სათნო, პრინციპული, მოყვასის თანამდგომი, იცავდეს „ლემის“ წევრთა კანონიერ უფლებებს, დროულად იხდიდეს საწევრო გადასახადს.

— „ლემის“ წევრს ეკრძალება პირადი გამორჩენის მიზნით ორგანიზაციის გამოყენება ან მისი სახელით მოქმედება.

— „ლემის“ წევრები გაირიცხებიან ორგანიზაციიდან წესდების უხეში დარღვევისა და უღირსი საქციელისათვის. გადაწყვეტილებას გარიცხვის შესახებ ღებულობს პირველადი ორგანიზაცია და ამტკიცებს რეგიონალური ან რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭო.

— გარიცხულს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება „ლემის“ ყველა ზემდგომ ინსტანციაში ყრილობის ჩათვლით, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

VII. სარევიზიო კომისია

— სარევიზიო კომისიის შემადგენლობას ირჩევს ყრილობა. სარევიზიო კომისიის წევრებად არ აირჩევიან ნაფიცთა საბჭოს წევრები.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს.

— ამოწმებს „ლემის“ და რეგიონალური ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას.

— იგი ანგარიშვალდებულია რესპუბლიკური ნაფიცთა საბჭოს წინაშე.

VIII. „ლემის“ საქმიანობის იურიდიული საფუძველი

— „ლემს“ ენიჭება იურიდიული პირის ყველა უფლება, სახელმწიფო ბანკში აქვს ცენტრალური ღია ანგარიში.

— „ლემს“ აქვს მრგვალი ბეჭედი ემბლემით: დროშა „ლემი“, კოშკი, ჯვარი, უშბა. აქვს შტამპი და ფორმიანი ბლანკი.

— „ლემის“ ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „ლემი“.

— წესდების შესაბამისად „ლემი“ ამყარებს გარკვეულ ურთიერთობას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

IX. „ლემის“ ფულადი სახსრები და მათი ხარჯვა

— „ლემის“ ფულადი სახსრები შედგება მის წევრთა მიერ გაღებული შესასვლელი შესატანის, ყოველთვიური საწევრო გადასახადის, საგამომცემლო საქმიანობის, კერძო პირთა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების შემოწირულობებისა და სახელმწიფო დახმარების შედეგად მიღებული თანხებისაგან.

— „ლემის“ ფულად სახსრებს განაგებენ ნაფიცთა საბჭოს რესპუბლიკური რეგიონალური და პირველადი ორგანიზაციების აღმასრულებელი ორგანოები და მათი თავმჯდომარეები.

— რეგიონალური ორგანიზაციების გამგეობები შესაბამისი საბანკო ანგარიშებიდან „ლემის“ ცენტრალურ ანგარიშზე ყოველთვიურად გადარიცხავენ 5%-ს.

— რეგიონალურ და პირველად ორგანიზაციებს შეუძლიათ ანგარიში გახსნან შემნახველ ბანკებში.

— ფულადი სახსრები გამოიყენება ორგანიზაციის საჭიროებისათვის.

X. „ლემის“ რეორგანიზაცია და თვითლიკვიდაცია

— „ლემის“ რეორგანიზაცია ან თვითლიკვიდაცია შეუძლია მხოლოდ ყრილობას ან საგანგებოდ მოწვეულ კონფერენციას, თუ ამისი მომხრეა „ლემის“ წევრთა ორი მესამედი.

— ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ფულადი სახსრები, თუ სხვა მატერიალური ფასეულობანი გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტს.

---

9 აპრილს მოწამლულთა საყურადღებოდ!

9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი შაბათს, 7 მარტს დღის 12 საათზე სათათბიროდ იწვევს 9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფებს.

მისამართი: ქავთარაძის ქ. № 16, № 2 საავადმყოფო-პოლიკლინიკის სააქტო დარბაზი.

ტურისტული ფირმა „მუზა“ გეპატიჟებათ სამოგზაუროდ

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში (მგზავრობა მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან თვითმფრინავით) — 7 დღით, 3-დან 10 აპრილამდე. საბუთები მიიღება 10 მარტამდე.

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში — 4 დღით.

იტალიის დედაქალაქ რომში — 7 დღით, საექსკურსიო გასვლებით ფლორენციაში, ნეაპოლში, ბოლონიაში, ვატიკანში.

გერმანიაში (სხვადასხვა ქალაქები) — 3 დღით.

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში — 5 დღით. ქალაქ სალონიკში — 3 დღით.

ბულგარეთი — 14-დღიანი დასვენებით ზღვაზე.

ფინეთში — 2 დღით.

მოქალაქეთა მიღება 10-დან 17 საათამდე (კვირის გარდა).

ფირმა „მუზას“ მისამართია: ვ. ფშაველას პრ. 45 (მეტრო „დელისთან“, „საქსოფმშენის“ შენობაში, მე-9 სართულზე).

ტელ.: 38-91-84, 39-95-19, 39-95-85.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საწარმოო გაერთიანება „თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელი“ აცნობებს იმ აბონენტებს, რომლებსაც დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს დაეწვათ საცხოვრებელი სახლი, მიაკითხონ ცენტრალურ სატელეფონო კვანძს (ჩიქოვანის, 16) ძველ საცხოვრებელ ადგილზე ნომრების დაჯავშნის ან ახალ მისამართზე ტელეფონის დადგმის საკითხის დასაზუსტებლად.

ს/გ „თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელი“.

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო დაგვიანებით გამოქვეყნდა ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის განცხადება მისაღები გამოცდების შესახებ. ამჟამად ინსტიტუტის რექტორატს მიზანშეუწონლად მიაჩნია მისაღები გამოცდების ჩატარება.

ინსტიტუტის რექტორატი.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალის ყოფილი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს გაზეთის მთავარ რედაქტორს ირაკლი გოცირიძეს შვილის, მხატვარ

გოგი გოცირიძის

ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია

პოლიტიკური ორგანიზაციების წესდებებს ვაქვეყნებთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე

1. ძირითადი დებულებანი

1. 1. ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია (ლდეპ) არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ილწვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნისათვის.

1. 2. ლდეპ აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებისა და გამოხატვის პროცესში საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი, დემოკრატიული, მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით:

— გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საკუთარი იდეოლოგიური პრინციპების საფუძველზე;

— ხელს უწყობს მოსახლეობაში პოლიტიკური განათლების გავრცელებასა და მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში;

— მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევაში; ამ ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

— ილწვის მოსახლეობისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის მუდმივი კავშირების დამყარებისათვის.

1. 3. ლდეპ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

2. ლდეპ-ის წევრი

2. 1. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი, აღიარებს პარტიის წესდებასა და პროგრამას, იხდის საწევრო გადასახადს.

2. 2. პარტიის წევრად მიღება ხდება პარტიის პირველადი ორგანიზაციის, პარტიის რეგიონალური (სარაიონო, საქალაქო) ორგანიზაციის ან პარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი წერილობითი განცხადებისა და პარტიის წევრის რეკომენდაციის საფუძველზე;

2. 3. პარტიის ყველა წევრი თანასწორუფლებიანია. პარტიის წევრს უფლება აქვს:

— მონაწილეობა მიიღოს პარტიის ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევნებში, წარადგინოს საკუთარი ან სხვისი კანდიდატურა, არჩეულ იქნას ამ ორგანოების შემადგენლობაში; წარუდგინოს წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები პარტიის ნებისმიერ ორგანოს, მიიღოს პასუხი მისთვის საინტერესო შეკითხვებზე;

— გაუწიოს რეკომენდაცია პარტიაში შესვლის მსურველებს;

— გავიდეს პარტიიდან მოტივირების გარეშე;

— პარტიიდან გარიცხვის შემთხვევაში აპელაციით მიმართოს პარტიის კომისიას, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, პარტიის ყრილობის ჩათვლით.

2. 4. პარტიის წევრი ვალდებულია:

— დაიცვას საწესდებო მოთხოვნები;

— ანგარიში ჩააბაროს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. 5. პარტიის წევრს ეკრძალება:

— იყოს სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი;

— იყოს საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების, საარბიტრაჟო სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი პირი, შინაგან საქმეთა ორგანოების, შინაგანი ჯარის და ეროვნული არმიის პირადი შემადგენლობის წევრი, სახელმწიფო უშიშროებისა და საბაჟოს სამსახურების კადრის მუშაკი, ასევე ავტონომიურ ფორმირებათა შესაბამისი ორგანიზაციის მუშაკი;

— იმოქმედოს პარტიის სახელით პარტიის საბჭოს, პარტიის თავმჯდომარის მოადგილის სათანადო რწმუნების გარეშე.

2. 6. პარტიის წევრი, რომელიც დაარღვევს პარტიის წესდებას, შეიძლება გარიცხულ იქნას პარტიიდან პირველადი ორგანიზაციის, რეგიონალური ორგანიზაციის ან პარტიის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. 7. პარტიაში მიღებისა და პარტიიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

2. 8. პარტიის თავისუფალი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი უპარტიო მოქალაქე, რომელიც მხარს უჭერს პარტიის ზოგად-იდეოლოგიურ პრინციპებს.

— პარტიის თავისუფალ წევრად მიღება ხდება სურვილის გამოთქმის საფუძველზე, პარტიის პირველადი ორგანიზაციის, პარტიის რეგიონალური ორგანიზაციის ან საბჭოს მიერ;

— პარტიის თავისუფალ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტიის ყრილობის, რეგიონალური ორგანიზაციების კონფერენციების, მუშა ორგანოებისა და პირველადი ორგანიზაციების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

2. 9. პარტიის წევრთა რეგისტრაციის წესს ადგენს პარტიის საბჭო.

3. ლდეპ-ის ტერიტორიულ-ორგანიზაციული სტრუქტურა

3. 1. ლდეპ თავის ტერიტორიულ-ორგანიზაციულ საქმიანობას განახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. პარტიის ტერიტორიულ-ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.

3. 1. პარტიის სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს პირველადი ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ტერიტორიული პრინციპით (სოფლის, დაბის, ქალაქის ან რაიონის ფარგლებში), თუ მასში გაერთიანებულია პარტიის არანაკლებ 5 (ხუთი) წევრი.

პირველადი ორგანიზაცია:

— პროპაგანდას უწევს ზოგად-იდეოლოგიურ და საპროგრამო პრინციპებს, ახორციელებს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებს;

— წყვეტს პარტიაში მიღებისა და პარტიიდან გარიცხვის საკითხებს.

3. 3. პარტიის პირველადი ორგანიზაციები ერთიანდებიან რეგიონალურ (სარაიონო, საქალაქო) ორგანიზაციაში.

პარტიის რეგიონალური ორგანიზაცია;

— პროპაგანდას უწევს პარტიის იდეებსა და საპროგრამო დებულებებს, ცხოვრებაში ატარებს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებს;

— წყვეტს პარტიაში მიღებისა და გარიცხვის საკითხებს.

— განაგებს რეგიონალური ორგანიზაციის საკუთრებას პარტიის საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.

3. 4. პარტიის ყველა სტრუქტურული ერთეულის (პირველადი ორგანიზაცია, რეგიონალური ორგანიზაცია) უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა წევრთა საერთო კრება (ან წარმომადგენელთა კონფერენცია), რომელიც პარტიის ძირითადი საწესდებო დებულებების საფუძველზე თავად განსაზღვრავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ორგანიზაციული მოწყობისა და მუშაობის ფორმებს.

3. 5. პარტიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები ავტონომიური არიან. ადგილობრივი ვითარებისა და პირობების გათვალისწინებით შესაბამისი ტერიტორიის ფარგლებში მათ შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ხასიათის გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება პარტიის პროგრამისა და წესდების ძირითად პრინციპებს.

3. 6. პარტიის სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან პარტიის საბჭოს წინაშე.

4. ლდეპ-ის ხელმძღვანელი ორგანოები

4. 1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ; პარტიის რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის, კონფერენციის მოწვევა ხდება პარტიის საბჭოს, პარტიის თავმჯდომარის, პარტიის სარევიზიო კომისიის ან რეგიონალური ორგანიზაციების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით 1 თვის განმავლობაში.

პარტიის ყრილობა:

— იღებს პარტიის წესდებას და პროგრამას ან შეაქვს მათში ცვლილებები:

— განიხილავს და წყვეტს პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და საზღვრავს პარტიის სტრატეგიულ პოლიტიკურ კურსს;

— განიხილავს და წყვეტს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში პარტიის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს ან საჭიროების შემთხვევაში გადასცემს მათი განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილებას პარტიის საბჭოს.

— ირჩევს პარტიის საბჭოს, პარტიის თავმჯდომარეს, პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს ერთი წლის ვადით;

— ამტკიცებს პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს პარტიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე;

— განსაზღვრავს პარტიის საბჭოში პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლობის ქვოტას;

— ისმენს და აფასებს პარტიის თავმჯდომარის, პარტიის საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშს;

— განიხილავს პარტიის გარიცხულ წევრთა აპელაციებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით;

— იღებს მიმართვებს და დეკლარაციებს;

— პარტიის ყრილობას უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს პარტიის ნებისმიერ ხელმძღვანელ და მაკონტროლებელ ორგანოს ან მის ცალკეულ წევრებს და მათი რწმუნების ვადის გასვლამდე მოაწყოს ხელახალი არჩევნები;

— პარტიის ყრილობის კომპეტენციაში შედის პარტიის რეორგანიზაციის და თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუ მას ხმა მისცა დეპუტატთა არანაკლებ 2/3-მა;

— პარტიის ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოების ფორმირებისას ან მათთვის უნდობლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ხმების უმრავლესობით, სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით;

პარტიის ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება დელეგატთა არანაკლებ 2/3.

4. 2. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის საბჭო, რომელიც მოიწვევა თვეში ერთხელ. პარტიის საბჭოს რიგგარეშე (საგანგებო) სხდომის მოწვევა ხდება პარტიის გამგეობის გადაწყვეტილებით ან პარტიის საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით — 1 კვირის განმავლობაში.

პარტიის საბჭო, რომელიც შედგება ყრილობაზე არჩეული მუდმივი წევრებისა და რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან:

— ორგანიზაციას უწევს და ხელმძღვანელობს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— საზღვრავს პარტიის ტაქტიკას მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში;

იღებს რეკომენდაციებს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში პარტიის წევრთა საქმიანობასთან დაკავშირებით;

— აქვეყნებს განცხადებებს პარტიის სახელით;

— განაგებს პარტიის საკუთრებას;

— ირჩევს პარტიის გამგეობას;

— პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის მდივანს, პარტიის ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორის, პარტიის მუშა ორგანოების (კომისიები, ბიუროები, ჯგუფები) თავმჯდომარეების, პარტიის ხაზინადარის კანდიდატურებს. პერიოდულად ისმენს და აფასებს მათ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

— ისმენს და აფასებს პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების და მუშა ორგანოების ანგარიშს;

— იღებს პარტიაში ახალ წევრებს და რიცხავს პარტიიდან წევრებს საწესდებო მოთხოვნების დარღვევისათვის;

— განიხილავს პარტიის გარიცხულ წევრთა აპელაციებს და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას;

— პარტიის გამგეობის არჩევნების დროს გადაწყვეტილების მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ხმების უბრალო უმრავლესობით, სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით;

—პარტიის საბჭო ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

4. 3. პარტიის საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე, რომელიც:

— იწვევს პარტიის ყრილობას, პარტიის საბჭოსა და გამგეობის სხდომებს;

—საჭიროების შემთხვევაში იწვევს პარტიის რიგგარეშე ყრილობას და კონფერენციას;

— აქვეყნებს განცხადებებს პარტიის სახელით;

— პარტიის თავმჯდომარეს კოოპტაციის წესით შეყავს ახალი წევრები პარტიის გამგეობის შემადგენლობაში (არაუმეტეს ორი წევრისა);

— პარტიის თავმჯდომარე პარტიის წარმომადგენელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა პარტიებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

—პარტიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

4. 4. პარტიის თავმჯდომარის მოადგილე:

— დახმარებას უწევს პარტიის თავმჯდომარეს მისი საქმიანობის წარმართვაში;

— ცვლის პარტიის თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში;

— წარმოადგენს პარტიას სახელმწიფო ორგანოებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დროს.

4. 5. პარტიის საბჭოს შეკრებებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობას პარტიის თავმჯდომარესთან ერთად წარმართავს გამგეობა, რომლის წევრთა რაოდენობას და სხდომების პერიოდულობას ადგენს პარტიის საბჭო;

პარტიის გამგეობა, რომელიც შედგება პარტიის საბჭოს მიერ არჩეული წევრებისაგან;

— ორგანიზაციას უწევს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას;

— შეიმუშავებს რეკომენდაციებს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში პარტიის ტაქტიკის განსაზღვრისათვის;

— კოორდინაციას უწევს პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების და მუშა ორგანოების საქმიანობას;

— აქვეყნებს განცხადებებს პარტიის სახელით.

4. 6. პარტიის გამგეობა ანგარიშვალდებულია პარტიის საბჭოს წინაშე.

5. ლდეპ-ის სარევიზიო კომისია

5. 1. პარტიის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სარევიზიო კომისია, რომელსაც აირჩევს პარტიის ყრილობა.

პარტიის სარევიზიო კომისია:

— პერიოდულად ამოწმებს პარტიის სტრუქტურული ერთეულებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მიერ პარტიის საწესდებო მოთხოვნათა შესრულებას;

— აკონტროლებს პარტიის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

5. 2. იმ შემთხვევაში, თუ სარევიზიო კომისია აღმოაჩენს სამეურნეო-ფინანსურ ან წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას, იგი უფლებამოსილია მოიწვიოს პარტიის საბჭოს საგანგებო სხდომა ან საგანგებო ყრილობა.

5. 3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება შედიოდნენ პარტიის რომელიმე ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში;

5. 4. სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობენ პარტიის საბჭოსა და გამგეობის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

5. 5. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

6. ლდეპ-ის სამდივნო

6. 1. პარტიის სამდივნო ორგანიზაციას უწევს და ხელმძღვანელობს პარტიის სააღრიცხვო-საკადრო, სააგიტაციო-საპროპაგანდო, საგამომცემლო-საინფორმაციო საქმიანობას; პრაქტიკულად ახორციელებს შიდაპარტიული საქმიანობის კოორდინაციას.

6. 2. სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პარტიის მდივანი, რომელსაც ამტკიცებს პარტიის საბჭო პარტიის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე.

6. 3. პარტიის სამდივნოს სტრუქტურასა და პერსონალურ შემადგენლობას პარტიის წარდგენის საფუძველზე ამტკიცებს პარტიის საბჭო.

7. ლდეპ-ის მუშა ორგანოები (კომისიები, ბიუროები, ჯგუფები)

7. 1. ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ხასიათის პრობლემათა დასამუშავებლად და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსახორციელებლად პარტიაში იქმნება მუშა ორგანოები (კომისიები, ბიუროები, ჯგუფები).

7. 2. პარტიის მუშა ორგანოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ პარტიის საბჭოს ან თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სამუშაო პროგრამის საფუძველზე.

7. 3. მუშა ორგანოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე პარტიის საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე.

7. 4. მუშა ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია პარტიის საბჭოსა და თავმჯდომარის წინაშე.

8. ლდეპ-ის უფლებრივი მდგომარეობა და საკუთრება

8. 1. ლდეპ არის იურიდიული პირი, აქვს საკუთარი სიმბოლიკა, გაზეთი, ბიუჯეტი, მიმდინარე ანგარიში ბანკში, ბეჭედი, შტამპი.

8. 2. ლდეპ თავისი პროგრამის და წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ქმნის საკუთრებას, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობებისაგან, მოწყობილობებისაგან, გამომცემლობისაგან, სატრანსპორტო საშუალებებისაგან, ფულადი სახსრებისაგან და საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქონებისაგან.

8. 3. ლდეპ-ის საკუთრებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს პარტიის საბჭო პარტიის თავმჯდომარისა და ხაზინადრის მეშვეობით. პარტიის ხაზინადარი ანგარიშვალდებულია პარტიის საბჭოს, თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის წინაშე.

8. 4. ლდეპ-ის ფულადი სახსრები იქმნება საწევრო შენატანების, მოქალაქეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებათა შეწირულობების, საგამომცემლო საქმიანობის, სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით მიღებული შემოსავლის, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხისაგან.

8. 5. პარტიის ფინანსურ სახსრებს განაგებს ხაზინადარი, რომელსაც პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის საბჭო. პარტიის ხაზინადარი ანგარიშვალდებულია პარტიის საბჭოს თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის წინაშე.

8. 6. პარტიის საბჭო ყოველწლიურად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ფორმით შესაბამის სამინისტროებს წარუდგენს დეკლარაციას საფინანსო საქმიანობის შესახებ და საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს პარტიის ბიუჯეტის წყაროებისა და შემოსავალ-გასავლის შესახებ.

9. ლდეპ-ის პრესა

9. 1. პარტიის მთავარ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენს გაზეთი „ერი და თავისუფლება“, რომლის გამოსვლის პერიოდულობას ადგენს პარტიის საბჭო.

10. ლდეპ-ის სიმბოლიკა

10.1. ლდეპ-ს აქვს საკუთარი დროშა, ღერბი, დევიზი.

10. 2. ლდეპ-ის დროშა არის მართკუთხედის ფორმის თეთრი ქსოვილი, რომლის ცენტრში მოთავსებულია ოქროსფერი შვიდქიმიანი ბორჯღალი. დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5. ბორჯღალის დიამეტრი შეადგენს დროშის სიგანის 1/3-ს.

10. 3. ლდეპ-ის ღერბი წარმოადგენს წრეს, სადაც თეთრ ცენტრში მოთავსებულია ოქროსფერი შვიდქიმიანი ბორჯღალი. ბორჯღალის დიამეტრი შეადგენს წრის დიამეტრის ნახევარს. წრის პერიფერიაზე წარმოდგენილია პარტიის დასახელება ქართულ ენაზე.

10. 4. ლდეპ-ის დევიზია ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“.

11. ლდეპ-ის ადგილსამყოფელი

11. 1. პარტიის საბჭოს ადგილსამყოფელია საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი.

12. ლდეპ-ის საქმიანობის შეწყვეტა

12. 1. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის (რეორგანიზაცია ან თვითლიკვიდაცია) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის ყრილობა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

12. 2. პარტიის თვითლიკვიდაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში პარტიის საკუთრება გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მკითხველისადმი!

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გუშინ, 5 მარტს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ელექტროენერგიის გამორთვის გამო, ეს შეუძლებელი გახდა. მკითხველს ბოდიშს ვუხდით გაზეთის ერთი დღით დაგვიანებისათვის.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

[illegible] თბილისი, 9. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 22-12-87, [illegible] 99-73-24. [illegible] კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29. 3 ინდექსი 64434.